140
1982

ISSN 0132 — 597

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერი

12
1982

ელექტრონული ბიბლიოთეკა




ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემა.

ფოტო ო. თურქიასი და ბ. კიკვაძისა



თბილისის ისტორიაში სამუდამოდ შევა 1982 წლის 29 ოქტომბერი: ამ დღეს მას გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, რომელიც საქართველოს დედაქალაქის დროშას მიაბნია სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე უ ს ტ ი ნ ი ს ძ ე ჩ ე რ ნ ე ნ კ ო მ. ჩვენი რესპუბლიკის ამ დაუვიწყარმა დღესასწაულმა განსაკუთრებული ეშხი და ლაზათი შემატა მეორე დღეს გამართულ სახალხო ზეიმს — თბილისობას. ქართული შემოდგომის უხვი დოვლათით დამშვენებულ ქუჩებსა და მოედნებს, პარკებსა და სკვერებს ეფინებოდა ხალხთა მეგობრობაზე, ბედნიერ ყოფაზე, მშვიდობაზე აქლერებული ჰანგები. არჩეული იქნენ თბილისის საპატიო მოქალაქენი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დედათბილისის დიდი ზეიმი







გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

12 დეკემბერი 1982

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ფოტო ვ. მაჩაბლისა







ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის

# თავისუფალ ერთა ძმ

ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ადამიანის ცხოვრებაში 60 წელი ასაკოვანი მოწიფულობის, ჭარმაგობის ხანაა. ხოლო სახელმწიფოსათვის, და მით უმეტეს, პრინციპულად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისათვის იგივე ექვსი ათეული წელი საწყისი პერიოდია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასტარტო წინ გაჭრის წამია. მაგრამ, როდესაც თვალს ვავლებთ საბჭოთა ხალხის მიერ ამ ხნის განმავლობაში განვლილ გზას, არ შეიძლება არ გაგვაოცოს ჩვენი ზრდის, წინსვლის, აყვავებისა და სრულყოფის თავბრუდამხვევმა ტემპებმა.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა მშრომელთა უფართოესი მასების ენერგიის, შემოქმედებითი აღმაფრენისა და ნიჭის სრულ, მაქსიმალურ გამოვლინებას. მიუხედავად საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის გააფთრებული წინააღმდეგობისა, საბჭოთა ხალხმა, რომელმაც მემკვიდრეობად უკიდურესად ჩამორჩენილი, იმპერიალისტური ომის შედეგად მთლად გაჩანაგებული ქვეყანა მიიღო, უმოკლეს ისტორიულ ვადაში განახორციელა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ჭეშმარიტი კულტურული რევოლუცია, დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარი დიდ სამამულო ომში და ააშენა განვითარებული სოციალიზმი, რომელიც წინ უძღვის კომუნისტურ საზოგადოებაში უშუალო გადასვლას.

ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პირობა საბჭოთა ხალხის ამ ისტორიული გამარჯვებებისა იყო და არის თავისუფალი სოციალისტური ერების ურღვევი კავშირი და ძმობა. ზუსტად სამოცი წლის წინათ დიდი ლენინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რაც კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფს მოასწავებდა. ჩვენ კანონიერი სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მშრომელებმა, პირველ რიგში კომუნისტებმა, დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ხალხების გამაერთიანებელ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაცია საბჭოთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი მოთავე იყო.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდნენ ამ ხნის მანძილზე მოკავშირე რესპუბლიკები — ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა, ძალზე ჩამორჩენილი მხარეები. საბჭოთა რუსეთი მათ უდიდეს მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევდა იმისათვის, რომ ერთხელ და საბოლოოდ დაეძლია მემკვიდრეობით მიღებული ფაქტობრივი უთანასწორობა ერთა შორის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამ უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალისტურ აქციაში გამოვლინდა დიდი რუსი ხალხის დიდბუნებოვნობა და კეთილშობილება, მისი ავანგარდული როლი სოციალისტური ერების თანამეგობრობაში.

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში განსაცვიფრებელ გამარჯვებებს მიაღწია ჩვენმა საქართველომ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილ აგრარულ დანამატს წარმოადგენდა.

სამოცი წლის მანძილზე საქართ-







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლე კავშირი ძმური

17/59

ველოში შეიქმნა მაღალგანვითარებული სამამულო მრეწველობა: ელექტროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ჩარხთმშენებლობა, საავიაციო, საავტომობილო, ელმავალსამშენებლო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობა და სხვ. საქართველოსათვის საიუბილეო 1981 წელს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 90-ჯერ გაიზარდა. ახლა საქართველო ერთ სულ მოსახლეზე უშვებს მეტ თუჯს, ვიდრე იტალია, მეტ ფოლადს, ვიდრე ნორვეგია, შვეიცარია და თურქეთი ერთად. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის 100-ზე მეტი დასახელების ნაწარმი გადის მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნის ბაზარზე. ელექტროენერგიის გამომუშავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა 433-ჯერ. ელექტროენერგიის წარმოებაში ერთ სულ მოსახლეზე საქართველომ შორს ჩამოიტოვა არა მარტო მეზობელი, შედარებით ჩამორჩენილი თურქეთი და ირანი, არამედ ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორიცაა ესპანეთი და პორტუგალია.



ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების საფუძველზე საქართველოში შეიქმნა მსხვილი მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მოწინავე ტექნიკით. განსაკუთრებით დიდი მიღწევებია მოპოვებული ჩაისა და ყურძნის წარმოებაში. საქართველო არის კავშირის მასშტაბით ჩაით ძირითადი მომმარაგებელი. 1981 წელს საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს 500 ათას ტონაზე მეტი მწვანე ფოთოლი, ხოლო მევენახეებმა — დაახლოებით 900 ათასი ტონა ყურძენი. მრავლად მოიკრიფა საიუბილეო წელს ციტრუსი, ხილი, თამბაქო და სხვ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობეს რესპუბლიკის მშრომელების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება. განუზომლად გაიზარდა საქართველოს ეროვნული შემოსავალი, რომლის დიდი ნაწილი ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება.

გამუდმებით იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა. თუ 1921 წელს საქართველოში აღირიცხა 2 მილიონ 411 ათასი მცხოვრები, ამჟამად რესპუბლიკის მოსახლეობამ 5 მილიონს გადააჭარბა. დღეს ჩვენთან ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ და ცხოვრობენ 80-ზე მეტი ეროვნების ადამიანები.

გვაგონდება საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის ზეიმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ თბილისში წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კავკასიურ კეთილშობილებას, შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას".

ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად გაიფურჩქნა მრავალსაუკუნოვანი ცხოველმყოფელი ტრადიციების მქონე ქართული ეროვნული კულტურა.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, მუსიკამ. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ ჩვენი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს; დიდი აღიარება მოიპოვეს კინოსა და სცენის ქართველმა ოსტატებმა; ყველა კონტინენტზე ჟღერს დღეს ქართული მუ-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა









სიკა და სიმღერა; არ დარჩენილა მაყურებელი, ქართულ ხალხურ ცეკვას რომ არ მოეხიბლა. ქართველ შემოქმედთა ბევრი ნაწარმოები საბჭოთა ღვის მაღალი ჯილდოებითაა აღნიშნული.

1981 წელს საქართველოში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდიოდა ორჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, ხუთჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, ცამეტჯერ მეტი, ვიდრე ირანში. რამდენიმე ათეული წლის წინ კი დიდი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა საქართველოსათვის უმაღლესი განათლების მქონე რამდენიმე სპეციალისტ ინჟინერსა და აგრონომზე.

დიდად გაიზარდა რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალი. ამჟამად საქართველოში მუშაობს მეცნიერებათა აკადემია, დაახლოებით 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და 19 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მოღვაწეობს 25 ათასი მაღალკვალიფიციური მეცნიერი და სპეციალისტი, მათ შორის 126 აკადემიკოსი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1200-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 11 ათასზე მეტი კანდიდატი. საქართველოს სწავლულები წარმატებით ავითარებენ თანამედროვე მეცნიერების მრავალ დარგს. ბევრ მათგანს მიენიჭა ლენინური და სახელმწიფო პრემიები. ქართველი მეცნიერების დიდ საერთაშორისო რეზონანსზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 20 მათგანი არჩეულია მსოფლიოს უდიდესი აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო წევრად და პროფესორად.

რესპუბლიკაში გამოდის 146 გაზეთი, 121 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამავე ენებზე წარმოებს რადიოგადაცემებიც.

შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების დარგში მოპოვებული წარმატებები ჭეშმარიტად ისტორიულია. საქართველოში დღეს მოქმედებს 2213 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულება, სადაც 170 ათასი ბავშვი იზრდება. რესპუბლიკის 3836 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს 950 ათასამდე მოსწავლე.

ჩვენი მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდასა და განათლებას ემსახურება 85 პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა 19 სადგური, ნორჩ ნატურალისტთა 13 სადგური, მრავალი საბავშვო პარკი და მხატვრული აღზრდის სახლი, 2621 საბავშვო კლუბი და წრე.

მართლაც რომ, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი პრივილეგირებული კლასი ბავშვებია!

ეს დაკანონებულია ჩვენს ახალ კონსტიტუციაშიც, სადაც ნათქვამია:

— „საბჭოთა კავშირში არსებობს სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის;

— სსრ კავშირში უზრუნველყოფილია დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა;

— სსრ კავშირში მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება;

— სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმ გზით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს... გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს..."

განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ჩვენი რესპუბლიკის მოზარდი თაობისათვის უკანასკნელ ათ წელიწადში.

საქართველოს კომუნისტური პარტია გამუდმებით ზრუნავს მოზარდი თაობის კეთილდღეობისათვის, რადგან კარგად ახსოვს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შესანიშნავი სიტყვები:

„მომავალი დღევანდელობით იწყება".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეგობრობის სიმღერები

იოსებ გრიშაშვილი

## თბილისი, ბაქო და ერევანი

თბილისი, ბაქო და ერევანი! —
რა კარგი თქმაა
რა დიდებული,
ეს ერთი ვაზის
სამი მტევანი
ძმურ მარანშია დაკიდებული.

საიათნოვა, აშუღთა მამა,
ჩანგს რომ უკრავდა
მხნედ არხეინად,
ისიც კი მტრისკენ
გაიჭრა სამად —
სიმღერით ქედი მოახრევინა.

ჩვენს ალალ გულებს, ჩვენს მაგარ
ძარღვებს,
საფუძვლად ძმობის სიმართლე
უძევს.
არ დაირღვევა, არ დაირღვევა
პარტიის სიბრძნით ნაშენი ფუძე.

გრიგოლ აბაშიძე

## რუსეთის ველებზე

რა დამავიწყებს იმ მთებს, იმ
სერებს,
გარს რომ ნაბდებად აკრავთ
ბინდები,
მათ წმინდა ჰაერს რომ გავიხსენებ
ასე მგონია, ცად ავფრინდები.

ველის ჰაერი ზოგჯერ ცხელია,
ზოგჯერ მთა მკაცრობს და
პირქუშია,
მთა მაღალია, ველი ვრცელია,
მაგრამ ერთმანეთს
როდი უშლიან.

ერთად შესცქერენ ღამეს
მთვარიანს,
ერთი მზის შუქი ათბობთ საერთო,
თუმც შორს არიან,
ერთად არიან,
არ არსებობენ უერთმანეთოთ.

ირაკლი აბაშიძე

## უზბეკეთში

რა უნდა ჰქონდეს გულს
დაფარული,
სახლიკაცებთან რა მაქვს
უთქმელი,
მხვდება უზბეკი ტკბილ
სიყვარულით,
ძმური ღიმილით მიმზერს
თურქმენი.
ამას გვიხმობდა ჩვენი რუსთველი,
ჩვენი ნავაი, ჩვენი ფიზული;
გაუტეხელი სიტყვით
გულწრფელით
ვართ საუკუნოდ ძმადშეფიცული.

იდგა ჩვენს შუა ხმლით
ლანგ-თემური,
იდგა მახვილით ედინ-ჯალალი.
მაგრამ ხალხური და ჩვენებური
ლტოლვა ძმობისკენ დარჩა
ალალი..
იდგა ომების კორიანტელი,
მტრობა, ხანძარი, წლები მზებნელი,
ხოლო ქართველი,
ერი ქართველი
იყო ყოველთვის ძმობის მძებნელი.
რა უნდა ჰქონდეს გულს
დაფარული,

სახლიკაცებთან რა მაქვს
უთქმელი,
ვარ ბედნიერი, რომ სიყვარულით
ვხვდებით უზბეკი, მე და
თურქმენი.
ვხვდებით, შევხარით ძმობას
დღევანდელს,
ჩვენს ზვიადობას, ჩვენს
უბადლობას,
თვალში ელვარებს
სახე ბელადის,
გულში ვდუდუნებთ ათას
მადლობას.

იოსებ ნონეშვილი

## სიმღერა მეგობრობისა

სომხეთში ვიყავ თუ ლატვიაში,
თუ უკრაინის ველი ვიხილე,
გრდემლთა გუგუნში,
ყანის შრიალში
ვნახე — მშრომელი კაცი
ღიღინებს.
ძმობის, მშვიდობის დიად
სიმღერას
მღერის და შრომაც არის ადვილი.
ხმა ხმას შეერთვის, შემდეგ
მიღელავს

ხალხში მდინარედ
გადმოვარდნილი.

ამ ხმამ მოიცვა მთელი ხმელეთი,
ზვირთებსწრაფია, ღელვის დონისა.
ფიქრი ფიქრს,
ხმა ხმას
მძლავრად შეერთვის,
როგორც ტალღები ვოლგა-დონისა.
სწრაფია ქარზე,
რვალზე მაგარი,

მუდამ ფრთალაღი, ხალისიანი.
მასში დაზგების ისმის გრაგანი,
ნამგლის წკრიალი,
ყანის შრიალი.

ის გულს პირამდე ავსებს იმედით,
ქვეყანა მისმა ექომ მოიცვა.
ტაიგა, ტუნდრა
თუ ზღვისპირეთი
მღერის სიმღერას მეგობრობისას.

ეროვნული



საკუთრებულად ვღე[illegible] ჩვენ კომკავშირელები გვქვია და თუმცა არც თუ ისე ბევრი დრო გავიდა, რაც ლენინური კომკავშირის ორგანიზაციის წევრის სამკერდე ნიშანს ვატარებ, უკვე ვგრძნობ, რომ ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებ. უპირველესად ყოვლისა, უფრო მეტი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ვეკიდები სწავლას, ამასთანავე ვხვდები, რომ უფლება არა მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სწავლაზე ვიფიქრო და ვიზრუნო. ყოველი მოსწავლე-კომკავშირელი სასკოლო ცხოვრების აქტიური მონაწილე უნდა იყოს, მას უნდა ეხებოდეს ყოველივე, რაც სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციაში ხდება, მას ოქტომბრელებისა და პიონერების საქმიანობა-საზრუნავიც უნდა აინტერესებდეს — ასეთია ჩემი აზრი. ახლახან კომკავშირის კომიტეტის წევრად ამირჩიეს და საორგანიზაციო მუშაო-

მანანა გელაშვილი

# ჩვენ კომკავშირელები ვართ!

ყოველწლიურად ათასობით უფროსკლასელი პიონერი ემშვიდობება ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციას, ალისფერ ყელსახვევს და ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებს ავსებს. პიონერული ცხოვრების სკოლაგამოვლილი გოგო-ბიჭები ღირსეულ ადგილს იკავებენ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა გვერდით, ბეჯითი სწავლითა და გამრჯე შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აყვავება-განვითარების საქმეში.

კომკავშირის რიგებში შესვლის საზეიმო დღე სამუდამოდ ამახსოვრდება ყველა მათგანს. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იქნება კომკავშირში შესვლა იმ მოზარდებისათვის, ვისაც საბჭოთა კავშირის მე-60 წლისთავის ზეიმის წინა დღეებში გადაეცა კომკავშირელის სანუკვარი წითელი ბილეთი. სიტყვას ვაძლევთ სამ მათგანს, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელებს ლინა გურგენიძეს, დავით ელოშვილსა და იუზა ბერაძეს.

**ლინა გურგენიძე**: — ალბათ, არასოდეს დამავიწყდება ის მღელვარება, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები განვიცდიდით მთელი ის ხანი, ვიდრე კომკავშირში შესასვლელად ვემზადებოდით. კიდევ ერთხელ ყურადღებით გადავიკითხეთ კომკავშირის სახელოვანი ისტორია, თვალი გადავავლეთ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების სასახელო საქმეებს, საგულდაგულოდ გავეცანით საკავშირო ალკკ XIX და საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობათა მასალებს, შევისწავლეთ კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის გამოსვლა, და თუმცა თითქოს შინაგანადაც მზად ვიყავით და სწავლითაც და შრომითაც ვიმსახურებდით კომკავშირის რიგებში შესვლის უფლებას, მაინც რაღაც განსაკუთრებულად ვღელავდით. ...

ბის სექტორი ჩამაბარეს. რა თქმა უნდა, თავდაპირველად საკმაოდ გამიჭირდა, მაგრამ გამომადგა პიონერული მუშაობის გამოცდილება, მე ხომ ყოველთვის ხალისითა და გულმოდგინებით ვეკიდებოდი ყოველგვარ პიონერულ დავალებას, სიამოვნებით ვმონაწილეობდი სხვადასხვა ღონისძიების მომზადება-ჩატარებაში. ჩვენი სამუშაო გეგმა ბევრ საინტერესოს გვპირდება. ვფიქრობ, დასახულის განხორციელება ხელს შეგვიწყობს ვიყოთ პარტიის მიზანდასახულობათა შესრულების აქტიური მონაწილენი.

**დავით ელოშვილი**: — ასე მგონია, ბავშვობას დავემშვიდობეთქი. ამიერიდან მე და ჩემს ამხანაგებს უბრალოდ უფლება აღარა გვაქვს ჩამოვრჩეთ სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, გადავდგათ გაუაზრებელი ნაბიჯი, ვიფიქროთ მხოლოდ საკუთარ თავზე. ჩვენ

ხომ კომკავშირელები ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საუკეთესონი უნდა ვიყოთ ყველაფერში. პირადად მე აქამდეც „ფრიადსა" და „კარგზე" ვსწავლობდი, ხოლო ახლა მაქსიმალურად ვცდილობ, კიდევ უფრო უკეთ ვისწავლო. გადაწყვეტილი მაქვს ავტოინჟინერი გამოვიდე და, რალა თქმა უნდა, ახლავე უნდა ვიზრუნო ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებაზე. სწავლა ყოველი მოსწავლის უპირველესი ვალი და საზრუნავია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა აღარაფერი გვახსოვდეს, რომ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მრავალმხრივი და შინაარსიანი უნდა იყოს ყოველი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა და ამ მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს პიონერულ ორგანიზაციასთან ურთიერთობა უნდა წარმოადგენდეს. პირველ რიგში ჩვენ, კომკავშირელები, უნდა ვზრუნავდეთ ნორჩ ლენინელებზე, კომკავშირის მომავალ ცვლაზე და ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენ, გუშინდელმა პიონერებმა, უნდა გამოვიჩინოთ აქ განსაკუთრებული აქტიურობა და ინიციატივიანობა. ჩვენც ხომ სწორედ კომკავშირელები გვეხმარებოდნენ ალკკ რიგებში შესასვლელად მზადებაში.

მომავალში მე, ალბათ, მრავალჯერ მომიწევს ჩემი ავტობიოგრაფიის დაწერა და ყოველთვის დიდი სიამაყის გრძნობით ჩავწერ ხოლმე: — ალკკ რიგებში შესვლის დრო — 1982 წლის ოქტომბერი, — და ყოველთვის მემახსოვრება, რომ ლენინურ კომკავშირში საბჭოთა კავშირის 60 წლისთავის წელს და კომკავშირის დაბადების თვეში მიმიღეს.

**იუზა ბერაძე:** — ნათლად მახსოვს, როგორ მიმიღეს პიონერთა რიგებში, ასევე სამუდამოდ დამამახსოვრდება კომკავშირში შესვლის დღე. ჩვენი სკოლის თითოეული იმ 30 მერვეკლასელის ცხოვრებაში, რომლებიც თითქმის ერთდროულად გახდნენ კომკავშირელები, ახალი ეტაპი დადგა. ჩემი აზრით, სწორედ ამ ეტაპზე უნდა განსაზღვროს თითოეულმა ჩვენთაგანმა თავისი ადგილი ცხოვრებაში, ახლა უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი მოქალაქეობრივი მრწამსი და პოზიცია. და თუმცა ყოველივე ამას ჩვენი პიონერად ყოფნისას ჩაეყარა საფუძველი, სწორედ ეს წლები, კომკავშირული წლები, მესახება მე ყოველი მოსწავლის სასკოლო ცხოვრების გადამწყვეტ მონაკვეთად. სწორედ ახლა ვრწმუნდები, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფუძვლის ჩაყრის პიონერულ პერიოდს მოზარდების ჩამოყალიბებაში. ამიტომაც ღრმად მწამს, რომ კომკავშირული ორგანიზაცია, როგორი დაძაბულიც არ უნდა იყოს მისი საქმიანობა, არც ერთი წუთით არ უნდა ადუნებდეს ნორჩი ლენინელებისადმი ყურადღებას. თითოეული კომკავშირელის პირდაპირი ვალია, შეუნელებლად ზრუნავდეს პიონერულ ორგანიზაციაზე, გულთან ახლოს მიჰქონდეს მისი სატკივარი და სიხარული.

ფოტო ვ. მაჩაგლისა



ლინა გურგენიძე



იუზა ბერაძე



დავით ელოშვილი

## მეგობრობის სიმღერები

### სიმონ ჩიქოვანი

### მოსკოველი მეგობრებისადმი

მოსკოვში მიჰქრის გულისთქმა
ჩემი.
ქარიშხალია. გიგონებთ, ძმებო.
თავზე დაგვენათის ვარსკლავი
კრემლის,
ცისკრის სადარი და საოცნებო.
მოგვიხაროდა, მოვქროდით
შორით,
მოგვქონდა გრძნობა, როგორც
საკრავი.
ჩვენ გვამშვენებდა ქონგური
გორის,
თქვენ გამღერებდათ კრემლის
ვარსკვლავი.
ხმა პუშკინის და ხმა რუსთაველის.
წრფელი გრძნობა და საამო ხმები.
ყურძნის ქარვა თუ პურის თაველი,
გადაჯვარული წკრიალა ხმლები.
სიჭაბუკე და პირველი თოვლი,
გრძნობა ჭირში და ლხინში
გავლილი.
ჩვენი მამული, ჩვენივე ტოლი,
ჩვენი სისხლი და ხორცი
ნამდვილი.

### გიორგი კაჭახიძე

### დიდი გზა

მხარი ამ გზასაც შენით გაშლია
ძმობის, სიცოცხლის წყაროს
სადენად.
იმ ხალხს დიდება, ეს გზა არშიად,
თერგო, პირველად ვინც აგადევნა;
ვინც მეზობლებიც მის გასაყვანად
წამოშალა და ძმურად დარაზმა.
ზედ ხორბალივით ქვიშა დაყარა,
და მას დაარქვა საძმო შარაგზა.
წინ სამშობლოს და ქვეყნის
გულია,
ამ გზით წამოსვლას ვინ არ
ინატრებს;
რა დიდი გზაა! ამ გზით უვლიათ
ჩრდილოეთისკენ ჩემს დიდ
წინაპრებს.
მეც მეგობრობის სხივი მიტაცებს
და მივგუგუნებ ძმების მიწაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღრუბლების მომშინაურებელი

აკაკი გენაძე

მხატვარი ზ. ფორჩხიძე

მოთხრობა

— არა, არ გამოუვლია, ბებია, თორემ თვალს მოვკრავდით. არავის არ გამოუვლია, ბებია.

— ბებია, ბებია?!.. როდის გავხდი ბებია? შვილიშვილი როდის გამიჩნდა? რო ვერ გავიგე?.. ქნება... ჰა? ომი დამთავრდა?

— ჯერ არა.

— ჰო, მაშინ რომელიმე, ან ის, ან ის... ისე რავა გამიწყრება ღმერთი, აქაურობა ერთს მაინც არ მოენატროს. აქაური ტყეები ძალიან უყვარდათ, ჩვენი მთების წყაროებიც... ჰო, გამოივლის რომელიმე. ჰოდა, თუ მოკრათ თვალი, მომაძახეთ, თქვენს გახარებას, უნახავად არსად გამექცეს. ა, ვაშლი მიირთვით, თქვენი ჭირიმე. ჭკუტაა, მარა გემრიელია. — დედაბერმა ლიას და ლეოს მაყალოთი სავსე კალათა გამოუშვირა. — არ გინდათ? კაი, კაი, არ დაგაძალებთ. — და ქალი ბილიკზე წატრატუნდა.

— გიჟია? — ლიამ ახლაღა ამოიღო ხმა

ლეომ მხრებს აიწურა:

— თურმე ქვრივმა ხუთი ობოლი ბიჭი ტანჯვა-წამებით გამოზარდა. ხუთივე ერთ დღეს წაიყვანეს ომში და ერთიც არ დაბრუნებულა. ჰოდა, მარტოდ დარჩენილს ტვინი გადაუბრუნდა. ახლა ასე დაფრატუნობს, ყველგან შვილებს ეძებს, თან ტყის ხილს კრეფს და ჩირავს. არავის აწუხებს. ოღონდ თუ გაიგო, სადმე ქორწილიაო, მაშინვე იქ გაჩნდება: ჩემს ბიჭებს მაყრად სიარული უყვარდათ და რომელიმე აქ ხომ არ არისო. ყველა ცდილობს, არსაიდან არ გაიგოს ვინმეს ქორწილის ამბავი. შენ რომ შეგეშინდა, იმაზე მეტად ზარავს ხალხს ამ უბედური ქალის გამოჩენა ქორწილში. ცუდ გუნებაზე დგება ხალხი. შარშან გალმა სოფელში ერთ სიძეზე თქვა: ეს ჩემი შვილი ვინ წამართვა და ვინ აქორწინებსო. თურმე ის ბიჭი მართლა ჰგავდა ამ ქალის უმცროს ვაჟს. ეჰ!

— რატომ უთხარი, ომი ჯერ არ დამთავრებულაო?

— ასე ეუბნება ყველა. ლონგომ დაარიგა ხალხი: ნუ ეტყვით, ომი რომ დამთავრდა, ისედაც გაუბედურებულს იმედს ნუ დაუკარგავთო, მაგ ბედკრულისათვის ომი ჯერ მართლაც არ დამთავრებულა და არც არასდროს დამთავრდებაო. ეს ბეჩავი დედაბერი დღეს შეიძლება კიდევ შემოგვხვდეს იქ, სადაც სულ არ ველოდებით მის გამოჩენას და აღარ შეგეშინდეს, გაიგე?

გაიარეს ტყე და ისევ მინდორი დახვდათ წინ. ტყიანკლდოვანი გორაკების მიღმა, ლაჟვარდოვან ცაში თეთრად ელვარებდნენ თოვლიანი მწვერვალები.

— იქ უნდა ავიდეთ? — ხელი გაიშვირა ლიამ.

— ვერ ავალთ, თორემ კაი შენ. ის თოვლიანი მთები უბრალოდ თვალს ეჩვენება ახლოს, ნამდვილად კი ფეხით ერთი კვირის სავალზეა.

— იმ მთებში თუ ცხოვრობს ვინმე, ან თუ იზრდება რამე?.. სიცოცხლე თუ არის?

— არა, იქ თოვლი და ყინულია მხოლოდ, მაგრამ.. ბარის სიცოცხლე იმ თითქოსდა უსიცოცხლო მთებს აბარია...

— უსიცოცხლოს აბარია სიცოცხლე?

— ყველა ჩვენი მდინარე მთებში იწყება, მდინარე კი სიცოცხლის დედაა. სადაც წყალი არაა, იქ არც სიცოცხლეა. ასე რომ, სიცოცხლე თითქოსდა უსიცოცხლო თო-

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლიან-ყინულიან მთებში იბადება. ვიღაცას უთქვამს, უხილავი დევები წურავენ თოვლიან-ყინულიან მთებს და მდინარეებს ადენენო. ნამდვილად კი მზე გზავნის კეთილ სხივებს დედამიწაზე, მზე უჭერს სხივების ხელებს მთებს და ადენს მდინარეებს. აი, გეოგრაფიაში ხომ ვისწავლეთ, სადაც თოვლიანი მთები არ არის, იქ წყალიც არ არის და სიცოცხლეს არსებობა ერთობ უჭირსო. დედამიწაზე ხომ არის ადგილები, სადაც წვიმა არ აცის, ან მთელი ათი წელიწადი ათი ცვარი არ ჩამოვარდება და მიწა მთლიანად გამომშრალ-გაუდაბურებულია. იმ მხარეებში თურმე ზანგელა ბავშვები მგზავრებს ფულს კი არა, წყალს სთხოვენ, რადგან წყალი თავის წონა ოქროზე ძვირფასია. ჩვენს ცას რომ ვუყურებ ხოლმე, ნატვრად მომიფრინდება: ნეტავი შეიძლებოდეს ღრუბლები მოიშინაურო, ჩააბა თოკი, ის თოკი თვითმფრინავს ან სხვა რამეს გამოაბა და ღრუბლების ქარავანი უდაბნოსკენ წაიყვანო ფრენით, იქ აწვიმო და მიწა გააცოცხლებინო. მაშინ იქაც გაჩნდება მდინარე და წყალთან ერთად სიცოცხლეც — აყვავდება ბაღები, გაჩნდება ყანები და ვენახები... მე მინდა მერქვას ღრუბლების პირველი მომშინაურებელი.

— ღრუბლების მომშინაურებელი? რა უცნაურობას არ მოიგონებ ხოლმე!

— რატომ უცნაურობას? მე მწამს, დადგება დრო და ადამიანი ღრუბლებს თავის ნებაზე დააწყებინებს სეირნობას, სადაც მოესურვება, იქ გააწვიმებს. არ შეიძლება თუ? აი, ვთქვათ, ისეთი კოსმოსური ხომალდი გამოიგონონ, რომ ღრუბლები აქეთ-იქით ატაროს და, სადაც თვითონ მოიწადინებს, იქ აწვიმოს? მაშინ ადამიანი ღრუბლებს მთელ დედამიწაზე ზომიერად გაანაწილებს, სადაც ბევრია, მოაკლებს, სადაც ცოტაა, მიუმატებს, სადაც სულ არაა, გააჩენს. ჰოდა, მე მინდა ღრუბლების პირველი მომშინაურებელი ვიყო. შენ არ გინდა?

— ეჰ! — ამოიოხრა ლიამ. — მე ბევრი რამე მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შენსავით ოცნებაც კი არ შემიძლია.

— ოცნებას რაღა უდგას წინ, გოგო!

— აქამდე მეც ასე მეგონა, ახლა კი, შენ რომ გიყურებ, ვხვდები, თურმე ნამდვილ ოცნებასაც თავისებური ძალ-ღონე სდომებია... დღემდე სულ სისულელეებზე ვოცნებობდი, ნეტავ დედ-მამამ ის მიყიდოს და ეს მიყიდოს, რომ სხვებზე კარგად ჩაცმულ-დახურულმა ვიარომეთქი. აი, შენსავით კი არასდროს მიფიქრია. ვატყობ შენთვის ეს მთა-ბარი უკვე მოშინაურებულია და... ახლა ღრუბლების მოშინაურებაზეც ოცნებობ, მე კი...

— თუ მოინდომებ, ამ მთა-ბარს შენც მოიშინაურებ. მომყევი!

აქ ლეოს ლიასათვის მინდორ-მინდორ ბალახში სიარული აღარ დაუძალებია, ბილიკს მხარდამხარ გაუყვნენ. ასე იარეს კარგა ხანს.

— დაიღალე, ქალაქელო?

— კი, დავიღალე! — აღიარა გოგონამ.

ლეომ ლია წაფერდებულ მინდორში კენტად მდგარ ბერმუხასთან მიიყვანა.

— აქ შევისვენოთ! ა, აგერ, მუხის ფესვებზე ჩამოჯექი.

ლიამ ამოზნექილ ფესვს ხელი გადაუსვა და გუნებიერად ჩამოჯდა.

— შენ რატომ არ ჯდები?

— მე ჯერ აქ პატარა საქმე მაქვს.

ლეო ორმოცდაათიოდე მეტრით მოშორდა ბერმუხას და მინდორში ბალახ-ბულახს დაუწყო გლეჯა.

— მანდ რას აკეთებ?! — გაიკვირვა ლიამ.

— სარეველას ვაცლი აქაურობას.



— მინდორში სარეველა ვის გამოულევია?

— მინდორში არა, მხოლოდ ამ ადგილას.

— ეგ რა, განსაკუთრებული ადგილია?

— საფლავია აქ.

— საფლავი?! ვისი საფლავი?! — ლია წამოხტა და ლეოსაკენ გაიქცა. — საფლავი კი არა!.. რა უგავს საფლავს? აქ არც ბორცვია, არც გალავანი, არც ქვითაა მონიშნული. მატყუებ?

— დედის სულს გეფიცები, საფლავია.

— ვისი?

— ერთი კარგი კაცის. ჩვენი სოფლელი მწყემსი ყოფილა, ლეგა რქმევია. ახლა ამ მინდორსაც ლეგა ჰქვია.

— შენი წინაპარი იყო?

— ლონგოს ვარაუდით, შორეულად მენათესავებოდა. იმ მუხასთან მომკვდარა და დაუბარებია: ამ მუხას ნუ მოჭრით, მე კი ღია მინდორში დამმარხეთ, ნურც გალავანს გამიკეთებთ, ნურც სხვა რამით მონიშნავთ, დაე, ყველამ თავისუფლად იაროს ზედ, როგორც ჩვეულებრივ მიწაზეო, კაცი თვითონაც გაცოცხლებული მიწაა და როცა მოკვდება, ისევ ჩვეულებრივ მიწად უნდა იქცესო. როცა გზა აქეთ მიდევს, არ შემიძლია, ამ ადგილს არ დავხედო და არ გავმარგლო. ლონგოც უვლის ამ მიწას, ზოგი სხვაც.

— ლეო, შენ მამა ხომ გყავს?

— დედა რომ მომიკვდა, მამამ სხვა ქალი მოიყვანა და მე ირინე ბებიამ წამომიყვანა გორგორაში. — ლეომ ძურწა ბალახი მოგლიჯა და შორს მოისროლა.

— დედა არ გახსოვს?

— ბუნდოვნად. ნისლში რომ რამეს ხედავ, ისე. რამეს რომ ვიტკენდი, მამშვიდებდა, არ იტიროო, ასე მითხრა იმ დღესაც, ხმა სულ რომ ვეღარ ამოიღო. მერე დაძინება იმიტომ მიხაროდა, დედას სიზმარში მაინც ვნახავ-მეთქი, ახლაც იმიტომ მიხარია ხოლმე დაძინება, მაგრამ კარგა ხანია აღარ დამსიზმრებია დედა.

გოგო-ბიჭი ერთხანს მდუმარედ იდგა გამარგლულ საფლავთან, მერე ლეომ თვალით ანიშნა ლიას, წავიდეთო, და უხმოდ გაუყვნენ საცალფეხო ბილიკს. ამ ბილიკმა ისინი კლდოვან გორაკზე აიყვანა. ხევიდან მდინარის მოგუდული ხმაური მოესმათ, თითქოს ბერიკაცი ყრუდ ახველებსო.

— ეს გზა სად მიდის? — ეჭვიანად იკითხა ლიამ.

— ღმერთისკენ! — სიცილით მიუგო ლეომ და უმალვე დაუმატა: — სალუტ, კამარად! ლონგო ბაბუა ამბობს, ჩვენი ღმერთი ეს მთებიაო, ზოგს თოვლივით თეთრი წვერი აქვს, ზოგს ტყესავით მწვანე და ზოგსაც ყვავილოვანი ფერდობივით ნაირფერიო.

თასმასავით მიხვეულ-მოხვეულმა ბილიკმა ისინი ხევში ჩაიყვანა. პირქუში მაღალი კლდეები მრისხანედ გადმოჰყურებდნენ ხევში აღმართ-დაღმართ დაკლაკნილ ოღროჩოღრო ბილიკს. თითქოს ამ მრისხანებას შეუშინებია და გაურბისო, მუხლმარდი მდინარე იმ კლდეების შუა თავპირის მტვრევით მოგრუხუნებდა. გაღმა-გამოღმის კლდეები მის ხმას ექოთი ამრავლებდნენ და ხეობაში ერთიანი, შეუწყვეტელი გუგუნ-გრუხუნი ისმოდა.

აი, ნაცრისფერ კლდეს პირალესილი წვეტიანი ქიმები ეშვებივით წამოუშვერია, კაცი იფიქრებს, ვიღაცას ემუქრებაო. იმ ეშვა კლდეს რომ გასცდნენ, ცხვირჩამოშვებული კლდე დახვდათ, წინწკალა წყარო ცრემლებივით წვეთ-წვეთად რომ ჩამოწანწკარებდა. ერთი კლდე ცხვირგაბუშტულ კაცსა ჰგავდა, მეორე — ცხვირპირდალეწილს, თითქოს ვიღაცასთან უჩხუბნია და დაზარალებული თვითონვე დარჩენილაო; მესამე, ვითომდა ამაყად თავაწეული კლდე, უცნაური ნადირივით მოკუნტულიყო და ბილიკი გრძელი კუდივით ეკიდა.

აი, ტოტებგაბარდღნილი ფიჭვი ფესვთა კლანჭებით ჩასჭიდებია შიშველ ფრიალოს, კლდე და ხე თითქოს ერთმანეთს იჭერენო.

— ეგ ისე მიყვარს, ნახვა რომ დამიგვიანდება, ღამეში სამჯერ მესიზმრება, თითქოს ტოტების ქნევით მეძახის, ამდენ ხანს სად დაიკარგე, რატომ დამივიწყეო. ალბათ, ფიქრი ჩამყვება ხოლმე სიზმარში და. . . თურმე უბრალო ხესაც სცოდნია მონატრება.

— ასე მაღალი კლდეები კინოშიც არ მინახავს, უცებ მოგვიჭირეს და დაგვიპატარავეს ცა, — თქვა ლიამ. — ასე მგონია, სადაცაა თავზე დაგვემხობიან და გაგვსრესენ.

— ყველა ეს კლდე აქ მდინარის ჩამოჭრილია. უფრო ღრმადაც ჩახერხავს. სხვათა შორის, ამ ხეობაში ორი ისეთი მაღალკლდოვანი ფრიალოა, ჯერ მზის თვალს მის ფსკერამდე რომ არ ჩაუხედია; სხვაგან ბუნება რაც არ უნდა გაირინდოს, იქ ორპირი ქარი ყოველთვის არხეინად მიდი-მოდის, უსაქმური კაცივით ბოლთასა სცემს.

— ახლა იქით გვიჭირავს გეზი? — შეჩერდა შემცბარი ლია.

— არ გინდა ნახო?

— ვერაგია ორპირი ქარი, გაციება იცის, მით უმეტეს, ისეთ ორპირ ქარში თუ მოხვდი, შენ რომ ამბობ... დედა ოთახში ორპირ ქარს არასოდეს აკეთებს გავცივდებითო!

— ჯერ ერთი, იმ ფრიალოების ორპირი ქარი არავის აციებს, მეორეც, იქამდე ჩვენ ვერ მივალთ, აქედან ძალიან შორსაა და ბილიკიც არ მიდის. ეს ისე გითხარი, ცნობისთვის, ამაზე მაღალი კლდეებიც არსებობს-მეთქი. კიდევ იმიტომ გითხარი, რომ ძალიან მენანება, ის ორპირი ქარი უსაქმური კაცივით რომ სცემს ბოლთას, სულ ტყუილუბრალოდ რომ დასეირნობს.

— და კიდევ იტყვი, რომ უცნაური ბიჭი არა ხარ?

— არაფერი უცნაური არა ვარ.

— აბა, ქარმა რა უნდა გააკეთოს?

— აი, ხომ შეიძლება იმ ფრიალოებში ქარის ელექტროსადგური აშენდეს? თავისებურ ტურბინ-დანადგარის ფრთები დაქანებული წყლის მაგივრად ქარმა დაატრიალოს და ქარმა თავისი უსაქმური თავი ასე გარდაქმნას ხალხისთვის საჭირო ელექტროსინათლედ, ისე მოიქცეს, ვთქვათ, ქარის წისქვილი რომ ფქვავს.

—ოცნებებით გატენილი ბიჭი ხარ, შენ ან მალე დაიღუპები, ან...

არაფერიც არ დავილუპები. მე რასაც ვოცნებობ, მისი ასრულება მჯერა კიდევაც. ქარის გახედნის ამბავი ლონგოს რომ გავუმხილე, ჩაფიქრდა და მითხრა: შენ ხუმრობ და, იქნებ მაგის დროც დადგესო.

მდინარის გრუხუნს სხვა გრუხუნი დაეწყვილა, ზევიდან წამოსული.

ლეომ წამისწამ ხელი დაავლო ლიას, კლდის უბისკენ მიაგდო და მიეფარა. კლდიდან მომწყდარმა ლოდმა ჯახაჯუხით ჩამოირბინა, მგზავრებს თავზე გადაუქროლა და მდინარეში მოადინა დგაფანი. ფერდაკარგული ლია აცახცახდა.

— დამშვიდდი! — ანუგეშა ლეომ. — საფრთხე წყალმა წაიღო უკვე.

ლია შეყოყმანდა, აღარ უნდოდა წინ წასვლა, მაგრამ ბოლოს მაინც დაიყოლია ლეომ.

წანწალა ხიდს მიადგნენ. მსხვილი ნაძვის ხე მოუქრელად იყო წამოქცეული და გაღმეთ-გამოღმეთის ორ მაღალ, შვეულ კბოდეს აერთებდა. ნაძვს ფესვები ისევ გაღმა კლდეში ჰქონდა გადგმული, ტოტებიანი წვერელო კი — გამოღმა კლდეზე დაყრდნობილი... და ხე ცოცხალი იყო.

— ვაიმე, აქ უნდა გავიდეთ?! — შეიცხადა ჯერაც შიშმოუნელებელმა ლიამ. — სხვა ხიდი, ბოგირი ან გასასვლელი არსად არი? ვერა, მე აქ ვერ გამოვალ! თხა კი არა ვარ, ეს ბეწვის ხიდივითაა.. ჯოჯოხეთის ბეწვის ხიდივით.

— იმ თქვენს ქალაქში ფიზკულტურას არ გიტარებენ? ძელზე სიარულს არ გასწავლიან? — ღიმილით ჰკითხა ლეომ.

—ძელი ბრტყელია, ეს კი მრგვალი. თანაც ძელიდან კიდეც რომ გადმოვარდე, იატაკამდე რაღაც მეტრანახევარია, აქ კი... ამ მბორგავი მდინარის ჯოჯოხეთურ ხახაში მტერი ჩავარდეს! ისე ჩაგყლაპავს, ვერც ველარავინ გიპოვის. მე ჯამბაზი კი არა ვარ. ვერა, ლეო, მე ვერა: დავბრუნდეთ, ახლა კი ნამდვილად დავბრუნდეთ!

—აქამდე მოვსულვართ და ახლა დავბრუნდეთ? აი, მიყურე მე! — ლეომ ხიდზე გაირბინ-გამოირბინა, —ამას ჯამბაზობა სჭირდება? თუ გინდა, თვალებსაც დავხუჭავ და ისე გავცუნცულ-გამოვცუნცულდები. გავიდე თვალდახუჭული?

— შენს თვალდახუჭულ გასვლას მე როგორ დავინახავ? — ტუჩი აიბზუა ლიამ.

— მართალი ხარ! — უმალვე დაეთანხმა ლეო, — გაღმიდან გამოვალ თვალდახუჭული! — ხიდზე გადაირბინა და შემოტრიალდა. — ახლა მიყურე! — თვალები დახუჭა და წონასწორობის დასაცავად მკლავები გაშალა. ახლა იგი ჯვარცმულსაც ჰგავდა, მოცეკვავესაც და აფრენილ ჩიტსაც. ასე წამოვიდა ხიდზე.

ლიამ ვერ გაუძლო შიშს, თვითონაც დახუჭა თვალები, ზედ ხელებიც მიიფარა და მანამდე ეჭირა, სანამ ლეომ არ ჩამოახსნევინა.

—ვერც ახლა დარწმუნდი, აქ გასვლა რომ ძნელი არაა?

—ეს შენთვის არაა ძნელი, ხიდიც მოშინაურებული გყავს, უფსკრულიც. მე მდინარეს რომ ჩავხედავ, მაშინვე



თვალი მემღვრევა და ფართო ხიდზე გავლის დროსაც კი მეშლება ფეხი.

— ბონდის ხიდზე არასდროს არ გასულხარ?

—მარტო არა.

—მაშინ ზურგზე აგიკიდებ და ისე გავიდეთ.

— ვერა-მეთქი! დავბრუნდეთ!

ბიჭმა ერთხანს არაფერი უთხრა. მდინარის ხმაური და კლდეების ექოლა ისმოდა.

—აი, მე რომ წინ წაგიძღვე და შენ ხელი ჩამჭიდო, ესეც არ შეგიძლია? ანდა... ერთხელ ლონგომ მითხრა, ადამიანს ცურვა თევზმა ასწავლა, სირბილი ქარმა, ფრენა ჩიტმა, განა თვითმფრინავი ცაში მონავარდე ჩიტს არა ჰგავსო. მაშინ ვკითხე: ცოცვა ვიღამ ასწავლა-მეთქი. გაეცინა — ომმაო, ომში ხშირად ფორთხავს ადამიანიო. მერე სერიოზულად დაუმატა: მართლა კი არა. ეს ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის ომში დაფორთხავდნენ ხშირად ადამიანები, თორემ წინათ მეომარი მეომარს პირდაპირ ერკინებოდა ზეზეურადო. ფორთხვა ადამიანს არავინაც არ ასწავლა, ეტყობა, ვიდრე ორ ფეხზე დადგებოდა, მანამდე მხოლოდ ფორთხავდა, როგორც ახლა ჩვილიო. ჰოდა, ჩვენც გადაადგილების ეს უძველესი ხერხი მოვიშველიოთ, გავფორთხდეთ ხიდზე. თუ ესეც გაშინებს, დავკრათ ფეხი და დავბრუნდეთ შინ...

— ეჰ, — ამოიოხრა ლიამ, — ფორთხვით არა! რაც იქნება, იქნება, გამიძეხი წინ და მე ხელს მოგკიდებ...

გაღმა გასული ლია უცებ ჩაიკეცა ბილიკზე.

— ადე! რა მოგივიდა? — მკლავზე მოჰკიდა ხელი ლეომ.

— ნუ, ნუ ამაყენებ! — მუდარით შეხედა გოგონამ. — რაღაცნაირად ხიდზე სული შემეკრა და... გული ისე ამიბაგუნდა... ცოტა ხანს მაცალე, ასე ვიქნები... გამიაროს...

ბილიკმა თეთრ კლდეს შემოუარა, პატარა ბორცვი გადაჭრა და რუხ კლდეებში შერგო თავი. აქ ერთგან ბილიკი ჩახრამულ-ჩანაპრალებული იყო, ზედ ხიდად არაფერი იდო. ლეომ ისკუპა და ნაპრალს ქარივით გადაევლო. ლია გახევდა.

— სალუტ, კამარად! რაღას უყურებ? რწყილი ახტა. დახტა და... აბა, ჰე!

— ამხელაზე ჩემს სიცოცხლეში არ გადავმხტარვარ. აქ სხვა ბილიკი არსადაა, რომ შემოვუაროთ?

—სამი საათით გავიგრძელებთ გზას.

— შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

— ისედაც რამდენი დრო გავფლანგეთ უკვე, ჩვენ კი შუაგზაზედაც არა ვართ. აქ უნდა გადმოხტე; უკან დაიხიე, გამოიქეცი და, ჰოპ! მე ნაპირთან დავდგები და უეჭველად დაგიჭერ. ჰა, გელოდები!

ლიამ უკან დაიხია, გაიქცა და... ნაპრალს კი გადაევლო, მაგრამ იქ უკვე თავი ველარ შეიკავა და ქვიან ბილიკს მუხლებით დაენარცხა. ჯერ შიშნეულად მიმოიხედა, მერე შეამჩნია, გადაყვლეფილ მარჯვენა მუხლზე სისხლი გამომივიდაო და ღრიალი მორთო.

ლეომ წამოსაყენებლად ორივე ხელი დაავლო, ლია არ აჰყვა.

—აი, შე ჩონტრო, აქ წასაქცევი რა გჭირდა? ადე, ადე!

— ვაიმე, სისხლი, სისხლი! მე სისხლი მომდის, შენ კი...

— აჰ, სისხლმა დაგაფრთხო? გასაგებია! ა. ოდნავ გაგჭრია კანი და სისხლი იმიტომ გამოგსვლია. რა გატირებს? დააშრე ეგ შენი ცრემლის ნიაღვარი და სისხლიც აღარ გამოგივა. ახლა სისხლი იმიტომ არ გიწყდება, რომ ცრემლი აწვება ძარღვებს... სანამ ტირილს არ შეწყვეტ, სისხლი არ შეგიდედდება.

ლიას ლოყებზე ჩამოუღვარღვარდა ცრემლები, ლეომ პეშვი შეუშვირა:

— უჰ, რა მარგალიტის ცრემლები გცვივა! აფსუსია ამ მარგალიტების უბრალოდ დაკარგვა. ამ ცრემლებით პირს დავიბან, იქნებ შენსავით გავლამაზდე, მზეთუნახავო!

— დამცინი?

— რაკი ის არა გჯერა, ცრემლების [illegible] სისხლის შედედებას ხელს რომ უშლის, ახლა ასე გეტყვი, ძალიან მიხარია, რომ ტირი. აქ საცეკვაო მოედანი რომ იყოს, დავლურსაც დაუვლიდი, ასა! ადე, ადე! მოიწმინდე ცრემლები და წავიდეთ! ამ კლდეების ზურგზე ისევ მინდორია, იქ მრავალძარღვა ბლომადაა, მალამოს დაგადებ ჭრილობაზე, ზედ მიწასაც დაგაყრი და ყველაფერი ხუთ წუთში მოგირჩება.

—არ მინდა მე ველური მრავალძარღვა, მიწა სულ არ მინდა! ჭრილობაში ინფექცია რომ შემეჭრეს...

—რაკი ჩემებური წამალი არ მოგწონს, შენი ქუდი დავხიოთ და ამით შეიხვიე. ჰო? ასე ვქნათ!

ლეომ ფართოფარფლებიანი სააგარაკო ჭრელი ქუდი მიფხრიწ-მოფხრიწა და ლიას მუხლი შეუხვია.

—გტკივა?

—ისე, ცოტა...

—ეგეც მალე გაგივლის. ნუ მომერიდები, თუ გინდა, მხარზე დამეყრდენი და ისე ვიაროთ.

—არა, ჩემითაც შემიძლია...

—ეგ კიდე უკეთესი.

ერთხანს ლია ფრთხილად მიაბიჯებდა, ლეოც ნებანება მიჰყვებოდა, მერე თავისუფლად გაუტიეს.

— მომწყურდა, ლეო!

— ცოტა მოითმინე.

მალე ხავსიანი კლდის ძირას ლურჯი თვალივით მოკამკამე ბინულთან მივიდნენ.

— დალიე.

— რითი დავლიო?!

—დიოგენის ჰიქით. ხომ იცი, დიოგენის ჰიქა რაც არის? — ლეომ წყალი პეშვით აიტაცა. — ა, ჩემი ხელით დალიე.

— არა, ასე არა! მაშინ მე თვითონ. — ლიამ ბინულიდან წყალი პეშვით ფრთხილად ამოიღო და ხარბად დაეწაფა. ერთი პეშვი არ ეყო, მეორედ და მესამედაც ამოიღო. წყალი თითებშუა ეპარებოდა და კაბაზე ეღვრებოდა. —რა გემრიელია, სვამ და კიდევ გწყურია.

— ეს ბინული ხავსსაც უყვარს. დააკვირდი, მხოლოდ აქ არის კლდე ხავსიანი, სხვაგან თითივით შიშველია.

ლიამ მომწვანო-მოყვითალო ხავსს მოჰკიდა ხელი:

—ხავერდივით რბილია, ოღონდ ნოტიო. აქ მიწა არსად ჩანს და ნეტავ ფესვს რაზე იკიდებს?

—თუ წყალი ექნა, ქარის მოტანილი მიწაც ჰყოფნის ფესვის მოსაკიდებლად. ხავსი კლდის დარდია. კი, კლდემაც იცის დარდი, ხემაც, მიწამაც, გზამაც. ლამაზია, როცა ხავსის ხავერდი აცვია კლდეს. მგონია, იმ კლდემ დარდი და სიხარული ერთნაირად იცის. — ლეომ ხელები პირთან მილივით მოიმრგვალა და გასძახა ხევს გაღმა კლდეს: — ხომ მართალია?

— მართალიააა! — გამოეპასუხა კლდე.

—გესმის, ლია, დასტურ, კლდე თვითონაც მემოწმება. იცი, რატომ? იმ კლდეში ჩემი ძმაკაცი ცხოვრობს ექო ჰქვია. ის მემოწმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ეგ აღარ ვიცი?! კლდეებს რასაც გასძახებ, რომ უკან დაგიბრუნებენ! წამიკითხავს და მინახავს!

— შენით რასაც ნახავ, ის მაინც უკეთესია. — ლეომ კვლავ გასძახა კლდეს: — ხომ უკეთესია?

— უკეთესიააა, — გამოსძახა კლდემ.

— ახლა შენ, ლია. შენც გაესაუბრე კლდეს, — უთხრა ლეომ.

— უ, ჰუ, ჰუუუუ! — გასძახა ლიამ და კლდემაც დაუბრუნა ექო.

— ლიააა! — გასძახა ლეომ.

— ააა! — უპასუხა კლდემ.

— ლეოოო! — გასძახა ლიამ.

— ოოო! — გამოსძახა კლდემ.

—ამიერიდან, ლია, ეს კლდე ჩვენს ხმას შეინახავს, მუდამ ემახსოვრება, აქ რომ გავიარეთ და გავესაუბრეთ. შენ გგონია, კლდეები უგულოები არიან? კლდეებსაც ენატრებათ ადამიანებთან საუბარი და დღეიდან შენი ნათესავ-მოყვარენიც იქნებიან.

—გმადლობ, ლეო. ჩვენ შინ მაგნიტოფონი გვაქვს, ფირზე ჩემი იმდროინდელი ხმაა ჩაწერილი, წლისა და შვიდი თვისა რომ ვიყავი. ხან გულიანად ვკისკისებ, ხან გადაბჟირებით ვტირი, ხანაც აბუდას ვითხოვ, აბუდა მაშინ ჩემთვის თურმე ხილს ნიშნავდა — ვაშლს, მსხალს ატამს, კარალიოკს. პუა — პური იყო. ვეძახი ბაბუას, ბებიას, დეიდას... ერთი კარის მეზობელი, მაყვალა, ხშირად შემოდიოდა ჩვენთან, მე რომ რამეს ვიტყოდი, გემრიელად გადაიკისკისებდა. ფირზე მეც იმ მეზობელივით ვიცინი, ვცინებ მაყვალას სიცილს და ჩემს ამ სიცილზე იცინის მთელი ოჯახი, იცინის თვითონ მაყვალაც. მერე ლექსს ვამბობ: გაბუტულან კელქები — ლიიკო და მურია თუმცა შერიგება კი ორივეს წყალი უნდათ... ლექსში ნამდვილად ასეა — სწყურიათო, მე კი გადამიკეთებია — წყალი უნდათ-მეთქი, რადგან სწყურია მაშინ ჩემთვის მხოლოდ წყლის წყურვილს ნიშნავდა...

კლდესთან საუბარი მალე მოათავეს და ოციოდე წუთში კლდოვანი ბილიკიდან საურმე გზაზე გადავიდნენ. ლიამ მიაყურა და აღმოაჩინა, რომ სადღაც წინ, გზის ორივე მხარეს, ჭრიჭინები არხეინად შესჭრიჭინებდნენ ერთმანეთს, ადამიანთა მიახლოვებისას კი მოწყვეტით ჩუმდებოდნენ. თავისი დაკვირვება ლეოსაც გაუზიარა.

—ოჰო, შენც თანდათან იშინაურებ ჩვენს მთა-ბარს. მალე იქნებ მეც მაჯობო. — გაუხარდა ლეოს. — ჰეშმარიტად ასე სჩვევიათ ჭრიჭინებს, თითქოს თავდავიწყებით უკრავენ ჭიანურებს, მაგრამ სიფხიზლესაც არ ჰკარგავენ, საოცარად გახედნილი აქვთ სმენა, ადამიანის ფეხის ჩქამს მიახლოვებისთანავე გრძნობენ და წამსვე ინაბებიან. აი, კიდევ ვცადოთ, ჯერ გავჩერდეთ ისე, რომ ოდნავადაც ნუ შევირხევით, მერე წავიდეთ, კვლავ შევჩერდეთ და დავაკვირდეთ.

გახევდა ლეო, ლიაც გახევდა. ჭრიჭინებმა ჭიანურის დაკვრა გაახურეს, მაგრამ მერე, საკმარისი იყო, ადამიანები ოდნავ შერხეულიყვნენ, ჭრიჭინების ხმა მაშინვე იკარგებოდა, თითქოს სიმი გაწყდაო. ლიამ ამას ხომ თავისით მიაგნო, მისი სიმართლე კი რატომღაც ახლაღა იწამა, თვალები გაუდიდდა და რაღაცის თქმა დააპირა. მაგრამ ლეომ უხმოდ მიიდო ტუჩზე თითი — კრინტი არ დასძრაო. სამიოდე წუთს გახევებული სდუმდნენ და ყურადღებით უსმენდნენ ჭრიჭინების თავისებურ გალობა-კონცერტს, მერე ისევ შეუდგნენ გზას.

—ლეო, შენ ყველაფერი იცი, რაც ბუნებაში ხდება?— დუმილი დაარღვია ლიამ.

—ლონგო ამბობს, ყველაფერი არავინ არ იცისო, მე უბრალოდ ყველაფერი მიყვარს, ლია. შარშან მერი მასწავლებელმა მითხრა: ბიჭო, შენზე ამბობენ, ჩიტების, ჭრიჭინების, პეპლების და თევზების ენა იცისო, ყველა საგანს ხუთებზე აბულბულებსო და ეს რუსული რა გახდა, ერთხელ ხუთიანი რომ ვერ მიიღეო.

— გიჭირს რუსული?

— რა ვიცი, ვერ ავაწყვე ჯერ.

— მე კი რუსულიც ვიცი და ინგლისურიც! — წა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოიძახა ლიამ. — თუ გინდა, ამ ზაფხულს შენც გამეცადინებ ხოლმე. არ გინდა?

— დიდი მადლობა! ჯერ ჩემითვე ვცდი. ადამიანი რასაც თავისით ისწავლის, თურმე ის უფრო ებეჭდება გულზე. ოი, არ დაადგა ფეხი!

ლეოს უეცარ შეძახილზე ლიამ გადასადგმელად აწეული ფეხი სწრაფად წაიღო უკან. მის წინ, შეჯავშნულ ზურგზე დაცემული ხოჭო წვრილ, ბუსუსიან ექვსსავე ფეხს მაღლა, ციკარიელეში მონაცვლეობით იქნევდა. ეტყობა, გადაბრუნება ეწადა, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა. რეტდასხმულივით მხოლოდ თავისსავე ზურგზე მიტრიალ-მოტრიალებას ახერხებდა, როგორც წისქვილის დოლაბს სჩვევია. ახლა ჯავშანი მისთვის ფარი კი არა, მძიმე ბორკილი იყო.

ლეომ გზისპირას ხმელი ბალახის ღერო მოგლიჯა და ხოჭო გადააბრუნა. იგი გახარებული წავიდა, უკან ერთხელაც არ მოუხედია.

— შენ რომ არ მიშველებოდი, სულ ასე იტრიალებდა?

— კი, მანამდე იტრიალებდა ასე, სანამ ქანცგაწყვეტილს სული არ ამოხდებოდა.

ისევ გადაუხვიეს გზიდან.

მოზრდილი ველი სავსე იყო ყვავილებით, მხოლოდ ყვავილებით. აქ ნაირ-ნაირი ყვავილები ყელყელაობდნენ — ცისფერი, თეთრი, ყვითელი, ხავერდისფურცლება, ფორეჯებდაყრილი, კოპლებიანი, ჩიტის კვერცხისფერი. ერთი ადგილი ხანძარმოდებულსა ჰგავდა. ეს — ყაყაჩოების ზღვა კაშკაშებდა წითლად. იგი ოდნავ ირხეოდა ხოლმე და ეს იყო სიზმრული თუ ზღაპრული სილამაზის ლივლივა კოცონი.

ველური ყვავილების სურნელებას აევსო ჰაერი. ამ სურნელებით დამტკბარ-გაბრუებული და ყვავილთა საოცარი მრავალფეროვნებით მონუსხული ლია ქანდაკებასავით გაირინდა.

— ლია, წასვლის დროა! — შეახსენა ლეომ.

— ჰა?

— წასვლის დროა-მეთქი.

— აჰ, წავიდეთ?! არა, ჯერ არა, შენი ჭირიმე აქედან სადღა წავიდეთ? დედავ ჩემო, ეს რა ვნახე? მთელი მინდორი ფრთაგაშლილ დიდრონ ჭრელ პეპელასა ჰგავს, ასე მგონია, სადაცაა ცაში აფრინდება. თავი სიზმარში მგონია. ნუთუ ამდენი ხავერდი, ამდენი აბრეშუმი და ამდენი ჩითი, ყვავილების ამდენი ფერი მიწაში იბადება?

— მარტო მიწაში რატომ? ყველაფერი მიწისა და მზის შვილია. მიწა ყვავილების თვალებით უყურებს მზეს. აი, ეს ლურჯი თვალებია, ეს შავი, ეს თაფლისფერი, ესეც მწვანე... ყვავილები მიწის ვარსკვლავებია. თუ ციური ვარსკვლავები მზის ჩასვლისას იღვიძებენ და მზის ამოსვლისას იძინებენ, სამაგიეროდ, მიწის ვარსკვლავები— ყვავილები, მზესთან ერთად იძინებენ და მზის ამოსვლისას იღვიძებენ. მოკლედ, მზესთან ერთად წვებიან

(გაგრძელება 28-ე გვერდზე)

„ჩვენ მომავალში კიდევ გავხსნით ჰიდროელექტროსადგურებს, ზოგი მათგანი უფრო ღონიერი და მძლავრიც იქნება, მაგრამ „ზაჰესის" გახსნის მომენტი ჩვენთვის დარჩება როგორც ერთადერთი, განუმეორებელი. ეს არის პირველი სერიოზული მუშაობა სოციალისტური მშენებლობის გზაზე".

(კრებული „ზაჰესი", თბ., 1927 წ.).

1920 წლის დეკემბერში, იმ დროს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა სათბობისა და ელექტროენერგიის დიდ უკმარისობას განიცდიდა და პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას იწყებდა, მოსკოვში, დიდი თეატრის შენობაში საბჭოების VIII ყრილობაზე შეიკრიბნენ მუშათა და გლეხთა და ჯარისკაცთა დელეგატები. ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მითითებითა და იდეური ხელმძღვანელობით გამოჩენილ მეცნიერთა მიერ შემუშავებული „რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო გეგმა" — „გოელრო", რომელსაც ბელადმა ჩვენი პარტიის მეორე პროგრამა უწოდა. ამავე ყრილობაზე გაისმა ვ. ი. ლენინის ხატოვანი ლოზუნგი: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია".

„გოელროს" გეგმის მიხედვით უახლოესი 15 წლის განმავლობაში უნდა აშენებულიყო 1 მილიონ 750 ათასი კილოვატი ჯამური სიმძლავრის თბო- და ჰიდროელექტროსადგურები (1935 წლისათვის ფაქტიურად მწყობრში იდგა 6 მილიონ 923 ათასი კილოვატი ჯამური სიმძლავრის ელსადგურები). გეგმა დამტკიცდა 1920 წლის 22 დეკემბერს. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად ამ დღეს აღინიშნება „ენერგეტიკოსის დღე".

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება XIX საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო. თავდაპირველად მუშაობდა რამდენიმე თბური ძრავა, რომელთა ენერგია ქართული დრამატული თეატრის განათებას ემსახურებოდა. მხოლოდ 1898 წელს დაიწყო წყლის რესურსების გამოყენება: ბორჯომში მდინარე ბორჯომულაზე აშენდა პირველი ჰიდროელექტროსადგური (რუსეთის იმპერიაში იგი მეორე იყო). 1905 წელს თბილისში ტრამვაის ხაზისათვის აშენდა იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი (1430 კილოვატი) თბოელექტროსადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია



# სოციალისტური მეგობრობის პირმშო

გიორგი გოგოლაძე

1913 წელს საქართველოში მუშაობდა მცირე სიმძლავრის მქონე 7 ჰიდროელექტროსადგური და რამდენიმე ათეული თბოელექტროსადგური. მათი მთლიანი სიმძლავრე შეადგენდა 9 ათას კილოვატს (ზაჰესის სიმძლავრის მეოთხედს), ხოლო წლიური გამომუშავება — 19 მილიონ კილოვატსაათს (ჩვენი რესპუბლიკის დღიური მოხმარების ნახევარს).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ არსებული ელექტროსადგურების უმეტესობა უკვე ძალზე იყო მოძველებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის 14 აპრილს, ვ. ი. ლენინი თავის წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი მოითხოვდა, სწრაფად დაეწყოთ ელექტრიფიკაციისა და მორწყვის დიდი სამუშაოები.

1922 წლის 23 მაისს თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების შესახებ. 1922 წლის ივლისში ჩამოყალიბდა ზაჰესის მშენებლობის კომიტეტი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შ. ელიავას მეთაურობით.

ზაჰესის მშენებლობა საბჭოთა საქართველოს სისხლხორცეულ საქმედ იქცა და 1922 წლის 10 სექტემბერს თბილისისა და მისი შემოგარენის ათასობით მუშის მიერ მოწყობილ გრანდიოზულ შაბათობაზე საფუძველი ჩაეყარა ახალი საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის პირმშოს — ზაჰესის მშენებლობას. შაბათობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები — ს. ორჯონიკიძე და ფ. მახარაძე.

მაგრამ მალე მშენებლობა შეფერხდა იმის გამო, რომ არ გამოიყო საკმარისი რაოდენობის თანხები. საქმე ისაა, რომ ამ დროს ელექტროსადგურის მშენებლობას ბევრი მოღვაწე ნაადრევად თვლიდა, ამას იმით ასაბუთებდა, თითქოს ახალგაზრდა რესპუბლიკას საამისო სახსრები არ გააჩნდა და სხვა, უფრო საშური საქმეები ჰქონდა. ამ ვითარებაში სერგო ორჯონიკიძემ დახმარებისათვის მიმართა ვ. ი. ლენინს. 1923 წლის 16 იანვარს

ბელადის პირადი ინიციატივით საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისის (მცხეთის) მახლობლად ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და მისი საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტად გამოცხადების შესახებ.

მშენებლობის პერიოდში ზაჰესს აქტიურად ეხმარებოდა ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, გამოჩენილი მეცნიერი გ. კრჟიჟანოვსკი. მშენებლობას სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი ენერგომშენებელი ბ. ჭიჭინაძე. სწორედ მისი ინჟინრული გამჭრიახობით დროულად და ეფექტურად გადაწყდა ბევრი რთული პრობლემა.

ბ. ჭიჭინაძეს მხარში ედგნენ მშენებლობის მთავარი ინჟინერი ო. მელიქ-ფაშაევი და სამუშაოთა მწარმოებელი ბ. მიქელაძე. დაუღალავად მუშაობდნენ მუშები, ოსტატები, ინჟინრები, მათ უნარიანად ხელმძღვანელობდნენ მშენებლობის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მართალია, სამშენებლო სამუშაოების მექანიზაცია იმ დროს არასაკმარის დონეზე იდგა, მიზანსწრაფულმა და შემართებით აღსავსე მუშაობამ მაინც კეთილი ნაყოფი გამოიღო და 1927 წლის 26 ივნისს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური ამუშავდა. ერთი დღით ადრე ზაჰესს მიეკუთვნა რევოლუციის ბელადის, ვ. ი. ლენინის სახელი. ელექტროსადგურის ამუშავების მომენტისათვის უკვე აშენებული იყო 35 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ზაჰესი-თბილისი" და დიდუბის, ნაძალადევის, ავლაბრისა და სხვა ქვესადგურები. ელექტროდენის მისაღებად მზად იყვნენ საქალაქო სატრანსფორმატორო პუნქტები და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ელქსელი. 12 ათას 800 კილოვატი სიმძლავრის ზაჰესი მაშინ სავსებით აკმაყოფილებდა თბილისისა და მისი შემოგარენის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ზაჰესის გახსნის ზეიმს დაესწრო სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ივანეს ძე კალინინი.

ძნელია სიხარულისა და სიამაყის იმ გრძნობათა დახატვა, რომლებსაც მაშინ საქართველოს მუშები, გლეხები, ინტელიგენცია განიცდიდნენ.

1931 წელს ზაჰესს გამოუჩნდა ახალი მომხმარებელი — კასპის ცემენტის ქარხანა, ხოლო 1932 წელს დამატებით მიუერთდა მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგურები საბჭოთა კავშირში რკინიგზის პირველი ელექტროფიცირებული მონაკვეთის — ხაშური-ზესტაფონის კვეთისათვის.

ელექტრომოხმარების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით 1930 წელს დაიწყო ზაჰესის გაფართოება, ამასთან — რიონჰესის მშენებლობაც. ზაჰესის გაფართოების სამუშაოები დამთავრდა 1938 წელს და სადგურის სიმძლავრემ 36 ათას 800 კილოვატს მიაღწია. 1934 წელს მუშაობა დაიწყო რიონჰესმა (მის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწე ვ. ჯიქია), რომელსაც მიეკუთვნა ი. ბ. სტალინის სახელი. სწორედ ამ ორი ელსადგურის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით დაკავშირებამ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას. მანამდე კი, 1928 წელს, მუშაობაში ჩაერთო რესპუბლიკის სოფლის ელექტრიფიკაციის პიონერი — აბაშის ჰიდროელექტროსადგური მდ. აბაშაზე (აბჰესი).

ზაჰესის, აბჰესისა და რიონჰესის ამუშავების შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. ამ ხანში საქართველოს ენერგეტიკული სისტემა განუზომლად გაიზარდა. აშენდა მძლავრი ჰიდრო- და თბოელექტროსადგურები, ელექტროქვესადგურები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მოხმარების განზომილებად იქცა მილიარდი კილოვატსაათები, ხოლო ელგადამცემი ხაზებისათვის — ათეული ათასობით კილომეტრი. ამჟამად საქართველო სრული ელექტრიფიკაციის რესპუბლიკაა. ელექტროენერგია ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამჟამად რესპუბლიკაში მარტო ტელევიზორებს საინტერესო გადაცემის დროს სჭირდება თითქმის ორი ზაჰესის ტოლი სიმძლავრე. 1913 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა თითქმის შვიდჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავება — თითქმის თოთხმეტჯერ.

ახალი ზღვრებია დასალაშქრავი XI ხუთწლედში. 1985 წლისათვის საქართველოს ენერგოსისტემის გამომუშავება 20%-ით გაიზრდება. ამუშავდება ჟინვალის ჰიდროკვანძი და ჰიდროელექტროსადგური, ვარციხჰესების კასკადის ბოლო — მეოთხე ჰიდროელექტროსადგური, გაგრძელდება მდ. ენგურზე ხუდონჰესის მშენებლობა, დაიწყება ნამახვანის ჰესის მშენებლობა მდინარე რიონზე; რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა XI ხუთწლედში მოსალოდნელია 45%-ით, ხოლო ახალი ელექტროგადამცემი ხაზები ათასეული კილომეტრი სიგრძისა იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# …იდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!




ჩვენი სტუმარია
ლიტვის სსრ
საბავშვო ჟურნალი
„ქვაიბჟდუზე"

## ჩვენ და ჩვენი ხუთწლედი

### გიზიარებთ გამოცდილებას

შვენჩიონისის საშუალო სკოლის პიონერებს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სამკურნალო ბალახების შეგროვების ვეტერანები. განსაკუთრებით კი — მეხუთე-მეშვიდეკლასელებს.

უკვე აპრილის თვეში, როცა გარეთ გულისგამაწვრილებლად წვიმს ანდა თოვს, პიონერები ზაფხულისთვის ემზადებიან, ერთხელ კიდევ იხსენებენ, სად რომელი ბალახი იზრდება, რომელი რა დროს უნდა მოიკრიფოს და გაშრეს. ყველა ამ წესს ისინი მარტო ერთმანეთს კი არ ასწავლიან, არამედ ყველაზე პატარებს, ოქტომბრელებსაც. პიონერებმა იციან, რომ სამკურნალო ბალახების შეგროვებას ცოდნა უნდა, ამ ცოდნას კი ისინი სამკურნალო ბალახების ფაბრიკაში იღებენ. სამკურნალო ბალახების პირველმა შემგროვებლებმა დიდი ხანია დაამთავრეს სკოლა, მაგრამ კეთილი ტრადიცია კვლავაც გრძელდება.

ყველაფერზე რომ მოითათბირებენ, პიონერები სამკურნალო ბალახის შემგროვებელთაგან ირჩევენ საბჭოს, რომელიც კავშირს ამყარებს ფაბრიკის მიმღებ პუნქტთან, ანაწილებს დავალებებს რაზმებს შორის. მერე კი, შემოდგომაზე, ადგენს, რომელმა რაზმმა იყოჩაღა სხვებზე მეტად, რომელმა გაიმარჯვა.

შარშან პიონერებმა 8919 კილოგრამი სამკურნალო ბალახი შეაგროვეს. ოქტომბრელებმა კი — 1538 კილოგრამი. სკოლამ რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავა.

წელს პიონერებმა გადაწყვიტეს, შარშანდელთან შედარებით ბევრად მეტი სამკურნალო ბალახი შეეგროვებინათ. სამკურნალო ბალახის შეგროვება საპატიო საქმეა. მით უმეტეს, თუ შვენჩიონისში სწავლობ. სადაც მთელს ქვეყანაში განთქმული სამკურნალო ბალახების ფაბრიკაა.

ნორჩმა ლენინელებმა პირობა დადეს კარგად მოემზადონ პიონერული ხუთწლედის ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელსაც სტარტი პიონერთა საკავშირო VIII შეკრებამ მისცა. ყოველმა მათგანმა ვალდებულება აიღო შეაგროვოს 10 კილოგრამი სხვადასხვა სახეობის სამკურნალო ბალახი.

დალია იურშენაიტე: „ზაფხული მხოლოდ დასვენება როდია".

საოცარია, ვფიქრობ, დალია იურშენაიტე ქალაქში ცხოვრობს. მაგრამ შარშან თითქმის 627 კილოგრამი სამკურნალო ბალახი შეაგროვა. დალია მიხსნის:

— ზაფხული სოფელში გავატარე, სადაც ჩემი ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ. ახლა სახლი ცარიელია. სოფელთან ახლოს ტბაა, იქვე დიდი ტყეც არის.

— შენ იქ მარტო ცხოვრობდი?

— კი, მარტოც მიწევდა ყოფნა. მაგრამ სოფელში ბევრი მეგობარი მყავს. კვირის ბოლოს სახლში ვბრუნდებოდი, დედას საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს. მაგონდება ჩემი ბავშვობა. შიშისგან ვკანკალებდი, თუკი სახლში მარტო დარჩენა მიწევდა.

— ხანდახან ჩემი და და ძმა ჩამოდიან, — თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრებს დალია, — მაგრამ ისინი ძალიან დაკავებულები არიან. ორივენი კაუნასის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობენ.

— დიდი ხანია, რაც სამკურნალო ბალახებს აგროვებ?

— პირველი კლასიდან.

— ვინ გირჩია?

— დედამ, ის სამკურნალო ბალახების ფაბრიკაში დამფასოებლად მუშაობს.

— უფრო მეტად რომელ ბალახს აგროვებ?

— ვირისტერფას, იაჟუჟუნას და ჭინჭარს.

— ჭინჭარს?

დალიას ეცინება. მიხვდა, რამ გამაკვირვა.

— სპეციალური ხელთათმანები მაქვს. მაგრამ, იცით, ჭინჭარს კი არ ვკრეფ, ცელით ვკელავ.

— ალბათ გამხმარი ბალახი მაინცდამაინც ბევრს არ იწონის.

— მართალი ხართ. უამრავ ვირისტერფას და ჭინჭარს გაახმობ და გამოვა რაღაც ნახევარი კილო. სულ სხვაა იაჟუჟუნა — აავსებ ორ დიდ ტომარას და თითქმის 7 კილოგრამი დგება.

— შენს გარდა სოფელში სამკურნალო ბალახს აგროვებს ვინმე?

ახლა კი, მხედავდნენ, ყოველ



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულს რომ ვაგროვებდი და უკვე საკოვანმა ხალხმაც კი მიჰყო ხელი ამ საქმეს. ბევრმა იაყუყუნა თავის ბალშიც მოაშენა, სასარგებლოცაა და ლამაზიც.

— შარშან რა თანხა გამოიმუშავე?

— დაახლოებით ათასი მანეთი.

— გამოიყენე ეს ფული, თუ შეინახე?

თვალებზე ვატყობ, რომ დალიას ჩემი კითხვა აკვირვებს, მაგრამ მაშინვე მაძლევს პასუხს:

— დედას მივეცი. სანამ და და ძმა სწავლობენ, ოჯახს ფული სჭირდება. ამ წელს კი, სახლში შემპირდნენ, ველოსიპედს გიყიდითო.

— ფული დიდია, მაგრამ არც სამუშაოა მცირე.

— რა თქმა უნდა, ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე... — დალიას თვალებში მხიარულმა ნაპერწკლებმა იელვეს, ეიცი, ახლა ძკითხავთ, არ გბეზრდებაო? მოსაპეზრებელია, რა თქმა უნდა, მაგრამ ვიდრე ტყუილუბრალოდ აქეთ-იქით. იხეტიალო და გულხელდაკრეფით იჯდე, თუკი შეგიძლია სასარგებლო საქმე გააკეთო. რატომ არ უნდა გააკეთო?

დალიას კითხვებს ვაძლევდი და გამახსენდა, ათი წლის წინ სამკურნალო ბალახების ფაბრიკაში ვიყავი დირექტორის მაგიდაზე უამრავი წერილი იდო. წერდნენ პენსიონერები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სახალინიდან, კამჩატკიდან, ციმბირიდან, უკრაინიდან:

„მოგვეხმარეთ, გამოგვიგზავნეთ ესა და ეს ბალახი...“ „არ შემიძლია მუშაობა, უძილობა მტანჯავს...“ „...დიდი მადლობა, ძვირფასებო. თქვენი წყალობით ვცოცხლობ...“ „...თქვენი დახმარებით დავუბრუნდი ცხოვრებას, ხალხს“...

მინდა გულში ჩავიკრა დალია, ფოვეფერო, როგორც საკუთარ შვილს და მადლობა ვუთხრა მას და ყველა იმ ბავშვს, რომლებიც მოთმინებით ასრულებენ ამ სამუშაოს;

— დალია, წელს რა გეგმები გაქვს?

— უფრო მეტი ბალახი უნდა შევაგროვო, ვიდრე შარშან. წელს ხომ უფრო დიდი ვარ.

გოგონა თავის დანაპირებს უსათუოდ შეასრულებს. დალია რომ უკვე დიდია, ეს მართალია. ის უკვე მერვეკლასელია და კომკავშირში შესასვლელად ემზადება. კეთილი გზა გქონდეს, დალია!

**მარიტე შალტიტე**

ვიტაუტას რაჩისკასი

# საოცარი ჩანთა

ერთ მშვენიერ დღეს ვიტუკასი სკოლაში ჩანთით წავიდა. დიდი ამბავი, იტყვით თქვენ, სკოლაში ყველა ჩანთით დადისო. კი ბატონო, მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჯერ ერთი, ვიტუკასს შოკოლადისფერი ახალთახალი ჩანთა ჰქონდა, და მეორეც, მეხუთე კლასში ჩანთა დიდი იშვიათობა გახლდათ. მაგალითად, რემიგიუსი წიგნებს გახეხილი ტყავის პატარა აბგით დაათრევდა, რომელზედაც ორი საზარელი ავაზა იყო დახატული. გედემინასს ავტომობილამოქარგული უბრალო სელის ბადე ეკავა. მინდაუგასი მამამისის სამგზავრო ჩანთას ატარებდა. ის ისეთი დიდი იყო, რომ უამრავ ხარახურასთან ერთად კაი ნახევარ ტომარა ვაშლსაც იტევდა. გინტარასს საიდანღაც ბაბუამისის ძველისძველი ჩემოდანი გამოეჩხრიკა. კაზისს მხარზე ათასნაირი ეტიკეტით აჭრელებული სპორტული ზურგჩანთა ეკიდა. ყველაზე არხეინად სიგიტასი იყო. ბაწრით შეეკრა წიგნები და სულ იღლიაში ამოჩრილს დაატარებდა. ხოდა, სკოლაში ვიტუკასი ჩანთით რომ დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ. გაოცებისაგან ბავშვები ისე ყვიროდნენ, კაცი იფიქრებდა, ბიჭმა სკოლაში ნიანგი მოიყვანაო. ბოლოს და ბოლოს რემიგიუსმა ვეღარ მოითმინა. ჩანთას თითი ატაკა და იყვირა:

— ნახეთ, ნახეთ ჩანთა!

— ვა, ნამდვილი ჩანთა! — შესძახა გედემინასმა.

მინდაუგასმა შოკოლადისფერი ტყავი მოსინჯა და თქვა:

— დიდი ამბავი, პირველ კლასში მეც მქონდა ასეთი ჩანთა.

— ხი, ხი, — ჩაიხითხითა სიგიტასმა, — შენ რა, მუზეუმიდან ხომ არ მოდიხარ, სად იშოვე ეს ჩანთა? ვინ ატარებს ახლა ასეთს?

— მე ვატარებ! — მოუჭრა ვიტუკასმა.

— ატარე რა. ვინ გიშლის. ისე მანახე, — უთხრა გინტარასმა და ჩანთა ხელიდან გამოგლიჯა. — რას იტყვით, იქნებ მეც მეყიდა ასეთი?!

— ასეთს ვერ იყიდი.

— რატომ?

— იმიტომ!

გინტარასმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჩანთა და ხელი ჩაიქნია:

— ნაგავია.

ჩანთა კი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა სინჯავდა. მერე პატრონს ერთბაშად დააყარეს კითხვები: სად იყიდე? რა ღირს? იკეტება?

ვიტუკასი ხმას არ იღებდა. მხოლოდ მერე, როცა სიგიტასმა ჩანთა თავს ზემოთ დაიტრიალა და საკლასო ოთახის ბოლოში მოისროლა, ნაწყენმა ვიტუკასმა ამაყად განაცხადა:

— ვერც ერთის ტომარა ჩემს ჩანთასთან ვერ მოვა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ვიტუკასმა ჩანთა აიღო, მტვერი გადაწმინდა და ჩაილაპარაკა:

— იცოდეთ, ამისთანა ჩანთა არავის არა გაქვთ.

— ვითომ რატომ? შენი ჩანთა ოქროსია თუ? — თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიცილის გუდა

მასწავლებელი: — გუშინ რატომ არ იყავი გაკვეთილზე?

ვიტალი: — თქვენ არ მითხარით, პატივცემულო, თუ გაკვეთილი არ გეცოდინება, თვალით არ დამენახოო?!

მამა: — კარგი მასწავლებელი გყავს, შვილო?

შვილი: — კარგი კია, მაგრამ შენი შურს.

მამა: — ჩემი? რატომ?

შვილი: — სულ იმას ამბობს, მე რომ მამაშენი ვიყოო...

— როდისაა ყველაზე საინტერესო გადაცემები ტელევიზორში?

— როცა გაკვეთილები გვაქვს სასწავლი.

— აფრიკა უფრო შორსაა ჩვენგან თუ მთვარე?

— აფრიკა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მთვარეს ხანდახან მაინც ვხედავთ, აფრიკას კი ვერა.



ნორჩები სიმღერისა და ცეკვის ტრადიციული დღესასწაულების მუდმივი მონაწილენი არიან.

ლები ააფახულა გინტარასმა.

— დიახაც!

— მომე, აბა, გავსინჯო...

— არ მიეკარო! — ვიტუკასმა ჩანთა ზურგს უკან დამალა, — არ შეიძლება.

— ნუ გეშინია, არ შევჭამ, — დაამშვიდა გინტარასმა.

— რომ შეჭამო, მერე სადღა ვიშოვი ამისთანა ჩანთას. იცით, რა საოცრებებს ჩადის?!

— რა საოცრებებს?!

— თვითონ ნახავთ, დღეიდან სულ ხუთებზე ვისწავლი, — განუცხადა ვიტუკასმა ბიჭებს. ჩანთა აიღო და თავისი მერხისაკენ გასწია.

მალე გაკვეთილიც დაიწყო. მათემატიკის მასწავლებელი ვიტუკასს დაფასთან არ იძახებდა ხოლმე იმიტომ, რომ ის ყველაზე დიდ დროს ახდომებდა ამოცანების ამოხსნას, და საერთოდ, მათემატიკა ძალიან უჭირდა. მაგრამ დღეს იგი ისე მაღლა იწევდა ხელს, რომ მასწავლებელი იძულებული გახდა გამოეძახებინა. ვიტუკასმა ისე მალე ამოხსნა ამოცანა, მასწავლებელმა თვალებს არ დაუჯერა.

—საოცარია, — ჩაილაპარაკა მან, — ვიტუკასმა ამოცანა ამოხსნა.

— ვიტუკასმა კი არა, ჩანთამ, — წამოიყვირა გინტარასმა.

— ჩანთამ? რა ჩანთამ?

— ვიტუკასის ჩანთამ. ამბობენ, რაღაცა მანქანა უდგას შიგო... ხოდა, ის მანქანა ხსნის ამოცანებს.

— აი, თურმე რა, — მასწავლებელი სკამიდან წამოდგა, ვიტუკასის მერხს მიუახლოვდა და ჩანთა შეათვალიერა.

— მართლა მშვენიერი ჩანთაა, — თქვა მან ღიმილით და ვიტუკასს დიდი ხუთიანი დაუწერა.

ერთ კვირაში ვიტუკასის დღიური ხუთიანებით აივსო. მათემატიკას, ისტორიას, გრამატიკას, ხატვას — ყველა საგანს ერთნაირად არაკრაკებდა. თანაკლასელები ძალიან დააინტერესა ვიტუკასის ჩანთამ.

— ამას წინათ წავიკითხე, — თქვა მინდაუგასმა, — რომ საზღვარგარეთ თურმე ისეთი აპარატი გამოიგონეს, რომელიც ტვინს კვებავს და მის ფუნქციას ასრულებს. ასე რომ, სწავლა არცაა საჭირო.

— ტყუილია, — შეეპასუხა კაზისი, — ასეთი აპარატი არ არსებობს. კვებოს რა, ადამიანის ტვინი აკუმულატორი კი არ არის!

— და მე მაინც ვამტკიცებ, რომ ვიტუკასს ჩანთაში რაღაც აქვს. გუშინ მოვსინჯე, ქვასავით მძიმე იყო, ჩემს ჩანთაზე ბარე ორჯერ მძიმე. ხომ არ გაგვესინჯა, ა?

ჩანთა მერხიდან გამოაძვრინეს და მასწავლებლის მაგიდაზე გადმოაპირქვავეს.

— ვა, წიგნებითაა სავსე, — თქვა კაზისმა და მათემატიკის სახელმძღვანელოს წამოავლო ხელი. მერე გრამატიკის წიგნი აიღო, მერე საკითხავი. მაგიდაზე წიგნებთან ერთად რვეულები, ორი სახაზავი, ფერადი ფანქრები და ვაშლები ეყარა. წიგნებსა და რვეულებს თეთრი ყდა ჰქონდა გადაკრული.

სულ ესაა?! მეტი არაფერი?!

კაზისმა ჩანთა დაცქვრთხა. მაგიდაზე მხოლოდ საშლელი დავარდა, სამი სამაგრი და ავტოკალამის გულები.

მორჩა, სულ ესაა.

ბიჭები გაოგნდნენ.

ხომ გითხარით, ტყუილად ირჯებით-მეთქი. — ზურგი აქცია მეგობრებს სიგიტასმა.

ჩვეულებრივი ჩანთაა, რა, — თქვა მინდაუგასმა.

ადრეც ვიცოდი, რომ ვიტუკასი მატყუარა იყო, ბრაზობდა გედემინასი.

— არა, ვიტუკასი არ იტყუება, — კარებიდან მოისმა მათემატიკის მასწავლებლის ხმა, — ვიტუკასს მართლაც საოცარი ჩანთა აქვს.

ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ. გასუსულები შეჰყურებდნენ კაზისს, რომელიც ჩქარა-ჩქარა ყრიდა წიგნებს ჩანთაში.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ბავშვებო, ვინ დაეხმარა ვიტუკასს, რომ ასე კარგად სწავლობს?!

ლიტვურიდან თარგმნა
ნანა ღევიძემ
მხატვარი ედ. ამბოკაძე



## ახალი წიგნები

ელენე
დიდიმამიშვილი

### ცისკრის მელოდიები

„გზაზე მინათებენ დედის ნათელივით, მუდამ იდუმალი, უცხო შთაგონებით დიდი ფიროსმანის ყალმით დაწერილი ჩემი მზე და მიწა, ჩემი მთა-გორები!" — ამ სტრიქონებით იხსნება ცნობილი ქართველი პოეტის ელენე დიდიმამიშვილის ახალი საბავშვო ლექსთა კრებული „ცისკრის მელოდიები". მართლაც წმინდა სათელივით გადაშლენია მთელ წიგნს ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი ხალხის უანგარო ტრფობა, საქართველოს წარსული, დღევანდელობა და მომავალი ასაზრდოებს პოეტი ქალის შთაგონებას. სათაყვანო მამულის დიდი მერმისის რწმენით არის აშუქებული „ლაშქრული", „გვინმობს მამული", „მშობლიური მარშიბით", „აწკრიალდა სკოლის ზარი"... ამ მერმისს კი ისინიც აშენებენ, დღეს რომ მერხებს უსხედან, ბეჯითად სწავლობენ, შრომობენ, ჩაბმული არიან ყოველდღიურ სახარგებლო საქმიანობაში. „ჩვენ უნდა გავუძლეთ რიყრაყებს დილით, კვლავ უფრო შეიძლიხოთ სამშობლო ტკბილი, ჩვენ გვმართებს დავიცვათ ბარაქამისი, მშვენება მრავალთა დიდების ღირსი", — მშვენივრად არის გამოხატული მოზარდების გულისთქმა ამ სტრიქონებში.

უველა ადამიანისათვის სამშობლო იქ იწყება, სადაც პირველად გაახილა თვალი, გააიდგა, მუხლი გამართა. ელენე დიდიმამიშვილისათვის კი განსაკუთრებით ძვირფასია თავისი მშობლიური მხარე — მესხეთი — ოდითვე ივერიის ერთ-ერთი ურყევი ბასტიონი, რუსთაველის ნააკვნარი, ლეგენდარული ციხე-სიმაგრეებით, სახწაულებრივი ვარძიათი... უსაზღვრო მადლიერი შვილის წრფელი ღაღადისი ისმის ლექსებიდან — „მესხეთის მთები მაღალი", „რუსთაველის საგაზრდილოში", „ვარძია", „საით დასძრეს მესხეთის ჯარი", „საკაბურაზე უკვდავა ჰყვავის". აი რამდენიმე პწკარი ლექსიდან „ქარაფებზე მინაწერი": „ამ მიწის სიცოცხლეზე ვმღერი, ვარ პირმშო მისი — ლხინად და დარდად მისად.. ვარ მხოლოდ სულ მცირე მტვერი ჩემი საქართველოს დიდებული გზისა!"

მშვიდობის გუშაგთა შორის ერთ-ერთი პირველნი არიან ჩვენი სახელოვანი მესაზღვრეები, რომლებთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვთ პიონერ მოსწავლეებს: „მარშით მოდიან მესაზღვრეები და ქუჩას ავსებს სიმღერა ვრცელი. მარშით მოდიან მესაზღვრეები ჩემი სამშობლოს მშვიდობის მცველნი, და ალისფერი ყელსახვევებით ესალმებიან ბავშვები ჩვენი".

„ცისკრის მელოდიების" ავტორი მშვიდობის, ხალხთა ძმობის მხურვალე მოსურნეა: „იყოს სიმშვიდე შინ და გარეთაც, შეჰკრან გულები სიკეთის გრძნობით, მე მინდა, რომ ჩვენს ცისფერ პლანეტას შარავანდედი მოსავდეს ძმობის".

ბევრი სითბო და ფაქიზი გრძნობაა დატეული სულ რაღაც სამოცგვერდიან კრებულში.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ გავარდა ბუ

ბეგლარ ნოზაძე
მხატვარი
თემურ ფხიკიძე
მოთხრობა

დაგვითხოვეს. მეშვიდე კლასში გადავედით. ლეილა მასწავლებელმა მელოსა და ვაჟას დაგვიძახა. ძალიან გვიყვარს ლეილა მასწავლებელი, მისი გულისათვის ხემსის ყუნწში გავძვრებით. მეორე წელია, რაც ჩვენს სკოლაში მოვიდა. პირველ გაკვეთილზე ჩვენს კლასში შემოვიდა. ზოოლოგია გვქონდა. იმ დილით სკოლაში რომ მივედი, უბეში დედალი იხვი მეჯდა. მოგისმენიათ დედალი იხვისთვის? ერთს რომ დაივახვახებს, ცას ჩამოიტანს. მამალი იხვი, ეგ არის, ლამაზია, თორემ ხავის, ხმა არა აქვს. ჰოდა, ის იხვი კარადაში შევსვი... ვიცოდი, ჩაივლიდნენ თუ არა ჩვენი იხვები სკოლის გვერდით, თავისებურს შემოსძახებდნენ და ჩემი იხვიც გამოეპასუხებოდა. მართლაც, შუა გაკვეთილზე ისეთი ვახვახი ასტეხა, ლეილა მასწავლებელს ფერი წაუვიდა. ერთი წყენით გამოგვხედა და გამოაღო კარადა. იხვს ორივე ფრთაში მოჰკიდა ხელი და ფანჯრიდან გადაუშვა. ვითომც არაფერი, არც დირექტორს უთხრა, არც დამრიგებელს. კლასში კი იცოდნენ, ვინც იყო ოინის გამკეთებელი, მაგრამ არ გამთქვეს. იქნებ გაიგო კიდეც ლეილა მასწავლებელმა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. მე კი ვერა და ვერ მოვისვენე. ერთხელაც, წამოვდექი მერხიდან.

— იცით, ლეილა მასწავლებელო...

მასწავლებელმა დაკვირვებით შემომხედა:

— რაო, ზურა? გინდა რამე?

— არაფერი, მასწავლებელო... ის იხვი მე შევსვი კარადაში...

სახეზე ღიმილი გაუკრთა, თუმცა მაშინვე შეჰყარა გადარაზული წარბები.

— ვიცოდი, ზურა... და გელოდებოდი.

— მელოდებოდით?!

— ჰო. კარგი ბიჭი ყოფილხარ, მოდი დავივიწყოთ ის იხვი...

ადვილი სათქმელია — დავივიწყოთ! რომ არ მავიწყდებოდა? ჩვენი კლასის გოგოებიც რომ მომდგნენ? ისე მისაყვედურეს, ლამის შევრცხვი — კინაღამ ცრემლი დავღვარე. ჰოდა, მოდით ახლა და მკითხეთ, რად მიყვარს ლეილა მასწავლებელი! თუმცა მარტო მე კი არა, ყველას ერთნაირად გვიყვარს.

იმას ვამბობდი, ლეილა მასწავლებელმა დაგვიძახა-მეთქი. დაგვიძახა და გვთხოვა, ზოოლოგიის კაბინეტში გამოფენა უნდა მოვაწყოთ და არწივის ფიტული გამიკეთეთო. იქნებ ნათესავი ან მეზობელი მონადირე გყავდეთ და დაგეხმაროთო. სიტყვა მივეცით. იმედიცა გვქონდა: ჩვენს მეზობელს, დათიკო მონადირეს, ეხერხება ფიტულების გაკეთება და როგორ გვეტყოდა უარს?

დაბარებულებივით მივადექით ძია დათიკოს. ეზოში ბადე გაეშალა და კემსავდა. სათვალეების ზემოდან გადმოგვხედა.

— აბა, რას გვიბრძანებთ, ბიჭებო, რით გემსახუროთ?

წინ წავდექი:

— ძია დათიკო, ჩვენ არწივი გვინდა, ცოცხალი არწივი, ფიტული უნდა გავაკეთოთ.

ღიმილი მოერია მონადირეს:

— არწივი? ისიც ცოცხალი? მერედა, სად ვიპოვოთ? არწივს, ბიჭებო, წიგნებში თუ ნახავთ დახატულს. მერე იცით, რომ არწივზე ნადირობა აკრძალულია? შუა აზიაში ხომ არ წავიდეთ? ეჰ, არაფერი გამოგივათ... თანაც, 25 წელია ხელში თოფი მიჭირავს და ახლა გინდათ შემარცხვინოთ?

— ძია დათიკო, ერთი მართვე რომ დავიჭიროთ, ვითომ საარწივეთი ამოწყდება? — იკითხა ილომ.

— მერე, იცით, სად იკეთებს არწივი ბუდეს? მიუვალ ფრიალოებში! კიდევ სადღა მაქვს ძველი ჯანი, ატენის ღრანტეები ფეხქვეშ ამოვიგდო? ან მივაკვლევ კი? აი, თუ გინდათ, აგვისტოში სეზონი გაიხსნება და ცოცხალ მწყრებს მოგიყვანთ.

— ძია დათიკო, — ყელი გამოვუწიე, — იქნებ იპოვოთ სადმე ბუდე. ჩვენ დაგეხმარებით.

— რა ვქნა, — ჩაილაპარაკა მონადირემ, — რა გიშველოთ, არ ვიცი. კარგი კია ფრთებგაშლილი არწივის ფიტული, მაგრამ, რა ვიცი, აბა!.. ძნელი საქმეა... მერე, იცით, რამდენი კირკიტი უნდა ფიტულის დამზადებას?

— ძია დათიკო, ვერ ვაწყენინებთ ლეილა მასწავლებელს!

— გყვარებიათ თქვენი ლეილა მასწავლებელი... კაი ბიჭები ჩანხართ. კარგი. ვცადოთ. ჯერ ადრეა მაინც. აგვისტოში წაგიყვანთ ატენის ხეობაში. თავადაც ეძებეთ არწივი ან მისი მართვე, თუმცა ძალიან კი მეეჭვება რამეს გავხდეთ. ერთად წავიდეთ, ერთად გავიყოთ ჭირიცა და ლხენაც. თანახმა ხართ?

●

სამივენი ჯავის პიონერთა ბანაკში გაგვგზავნეს. ჩვენივარაუდით, აგვისტოს პირველ რიცხვებში ქალაქში უნდა ვყოფილიყავით. გული არ გვიდგებოდა პირველ ხანებში, მაგრამ საინტერესოდ ვცხოვრობდით! ჯერ იყო და ლიახვი დავაგუბეთ, ვჭყუმ-

პალაობდით სეტყვასავით ცივ წყალში, მერე — ლაშქრობები, კოცონი, სოკოები... დათვის პატარა ბელიც ვნახეთ, ტყეში შემოგვხვდა და ბუჩქებში შეძუნძულდა. საჩქაროდ მოგვაბრუნეს უკან. აქ სადმე დედადათვიც იქნებაო. მთელ ჯავაში დაირხა ხმა, პიონერებს დათვის ბელი უნახავთო. ერთი აყლაყუდა და ბეჭებგანიერი კაცი მოგვადგა მეორე დღეს, ჩვენი რაზმის ხელმძღვანელს, ნიას დაეძებდა. ნია ხელმძღვანელმა დაწვრილებით მოუთხრო, სად და როგორ ვნახეთ დათვის პატარა ბელი, როგორ ავიკრიფეთ გუდა-ნაბადი...

— ჰო, ის არის, — თქვა აყლაყუდამ. — აიკლო სიმინდის ყანები. ორი წელია დავდევ და ვერ მოვიხელთე. ახლა მოჩრიხვავდა ბელებს, სიმინდი შემოვა და ნახეთ მერე ტაროების ამბავი. ისე მოაკალოებს ხოლმე ყანას, თითქოს კევრი შეუბიათო. გასულ ზამთარში ძროხაც დაგვიგლიჯა. ცუდად შემოგვეჩვია.

— გინახავთ? — იკითხა ნია ხელმძღვანელმა.

— მაშ!.. ვესროლე კიდეც. მაგრამ დავაცილე, სულ ლიწინ-ლიწინი აუტეხა ხეებს. ხევში ჩაგორდა ბურდღუნით...

დღეები გადიოდა, მაგრამ დათვისა არაფერი ისმოდა. ისე, გულში კი ყველას გვიხაროდა: რად უნდა მოეკლათ? მერე, ბელები? ცოდონი არ იყვნენ?

თვალები სულ ცაზე გვქონდა გაკრული: არწივს დავეძებდით. მაგრამ სად იყო არწივი! ყორანი თუ გადაგვიფრენდა ხოლმე ზოგჯერ ყრანტალით ან წვრილ-წვრილი ჩიტები იკლებდნენ იქაურობას. ძია დათიკო მართალი გამოდგა, მაგრამ სადღაც ხომ არსებობდა ამ ქვეყნად არწივი? სულ ხომ არ გადაჯიშდებოდა?!

ბანაკში საუკეთესო ნახატის კონკურსი გამოაცხადეს. ვაჟა კარგად ხატავს, იმის იმედი გვქონდა. ვაჟამ ბევრი იფიქრა და ფრთებგაშლილი, კაუჭანისკარტიანი და ეკალბრჭყალებიანი არწივი დახატა, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა. იქვე, მიწაზე, შეშინებული კურდღელი მიძვრებოდა ბუჩქებში, ყურები ზურგზე გადაეწყო. დაეწეოდა არწივი? დაიჭერდა? ალბათ დაიჭერდა!.. კონკურსში ვაჟამ გაიმარჯვა და პრიზიც მიიღო, ჩვენმა რაზმმა — ფოტოაპარატი.

ნახატი კარგი იყო, მაგრამ ჩვენ ნამდვილი არწივი გვინდოდა. ეს დღეებიც რა ზლაზვნით მიდიოდა! ვინ იცის, როგორ გველოდებოდა ძია დათიკო! ძალიან ნელა ბრუნავს დედამიწა მაშინ, როცა წინ ასეთი საინტერესო საქმეები გელის!

●

ბოშურამდე ავტობუსით ავედით, შემდეგ კი ფეხით შევყევით შეთხელებულ ტყეს. აგვისტოს ხვატი იდგა. მზე იხრუკებოდა. მდინარე ტანა კოჭის ძაფივით გაწალიკებულიყო. შიგადაშიგ თავზე შაშვი გადაგვიფრენდა და ისარივით ჩაეშვებოდა ხოლმე ბუჩქებში. ხანდახან მეტიჩარა ჩხიკვებიც გაიელვებდნენ. ყველას ზურგჩანთები გვეკიდა. წინ დათიკო მიგვიძღოდა. თოფი შალითაში ედო.

— ჰა, ხომ არ დაიღალეთ, ბიჭებო? — მალიმალ მობრუნდებოდა მონადირე.

— რა დროს დაღლაა! — ყველას მაგივრად ვპასუხობდი.

— აი, სულ მალე ერთ ძველ ეკლესიას წავადგებით, — გვიყვებოდა ძია დათიკო. — ნახავთ, რა საინტერესოა. ჟამთა სიავემ თავისი ხელი დაატყო, მაგრამ გგონიათ მინებდა სიბერეს? მის სახურავზე სამი ფიჭვია ამოსული! არა, თუ არ ნახეთ, არ დამიჯერებთ. განა პატარა ფიჭვებია? მერე, იცით, რა წყარო გამოდის ბებერი ფიჭვის ძირში? გვრიტები აქ იკლავენ ხოლმე წყურვილს. წყარო კი არა, უკვდავების წყალია. მერე, როგორ მღერის! გაგიგონიათ ან მოგისმენიათ წყაროს სიმღერა? ურმულივით ტკბილია. უნდა იჯდე და უსმინო, თვითონ ტყეც სულგანაბული უსმენს ხოლმე... მაშა!

სული გველეოდა, როდის მივადგებოდით ეკლესიას. მალე ტყე ისე მოჩარდახდა, რომ მზის სხივები ხემსებივითღა თუ ახერხებდნენ შეღწევას ფოთლიან-წიწვიანში. აგრილდა კიდეც. შეგვაჟრიჟინა თითქოს. საცალფეხო ბილიკზე მივდიოდით წალიკ-წალიკ. ბოლოს ეკლესია გამოჩნდა, დუღაბით ნაშენი. ზურგჩანთები მოვიხსენით და წყაროსთან დავალაგეთ.

ეკლესიას შემოვუა[illegible]ლაც, სამი ფიჭვი ამოზრ[illegible] მის სახურავზე. საოცარი იყო, რით იკვებებოდნენ ფესვები ამ დუღაბში, ადგილ-ადგილ რომ გაეპოთ კეხურა ვაშლივით. ბებერი ფიჭვიდან კოდალა აფრინდა, წითელი მუცელი გამოაჩინა, წყურვილი თუ მოეკლა წყაროზე, კაკუნით დაღლილს. ჩავიმუხლეთ. ილომ ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ძია დათიკომ სახეზე შეისხა წყაროს წყალი.

— ნახეთ, ბიჭებო, როგორია, კბილს კბილზე დაგაცემინებს, გაბაბანებს, ნახეთ-მეთქი!

მუცელზე გავწექით და ანკარა წყალს დავეწაფეთ.

— როგორრია, ჰა? არა, მითხარით, როგორრია? ახლა გატვრინდით და ყური დაუგდეთ, რას მღერის წყარო!

გავიტრუნეთ. წყარო მოწანწკარობდა, მაგრამ რას მღეროდა, ვერ მივხვდით.

— რაო, ვერ გაგიგიათ? ეჰ... ტყის სიმღერას მღერის. თქვენც გიმღერით! მალე მიეჩვევით და გაიგებთ: ქართულად მღერის და იმიტომ. ახლა წავიხემსოთ და მერე შევუყვეთ ტყესა. ეს ტყე რომ ჩათავდება, იმ ფრიალოებში გავალთ.

მწვანე მოლზე გავშალეთ, მოვრთეთ და მოვჩითეთ ჩვენი სუფრა.

— აბა, ახლა ხელები დაიბანეთ და პირზეც შეისხით წყალი! — გვითხრა მონადირემ.

ჩიორებივით ჩავცვივდით წყაროს ნაპირას და გამოვცოცხლდით. მერე მადიანად შევექეცით საჭმელს. ძია დათიკომ ხარის რქა და მათარა ამოაძვრინა. ერთი არაყი გადაჰკრა — მადა გაიხსნა. ნაბიჯების ხმა შემოგვესმა შეღმართიდან.

— ვანო ეგერი იქნება. — გაგვაფრთხილა მონადირემ.

მართლაც, თოფგადაკიდებული ტანმორჩილი კაცი გამოჩნდა, მხნე ნაბიჯით მოდიოდა.

— გამარჯობათ თქვენი! — მოგვესალმა ეგერი.

მივესალმეთ. მონადირემ ეგერი მოიპატიჟა. უხმოდ მოიხსნა თოფი ძია ვანომ, სახეზე წყალი შეისხა და ჩვენთან ჩამოჯდა.

ძია დათიკომ ყანწი გაუწოდა. ეგერმა უხმოდ გადაჰკრა. ლუკმა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიატანა, მაშინღა მოუბრუნდა მონადირეს:

— შენი კი მიკვირს, დათა, მაინც რაზე აპირებ ნადირობას ახლა? ან ეს ბავშვები რად წამოგისხამს?

— ესენი? ბიჭები? საქმე გვაქვს, ვანო, არწივზე მივდივართ სანადიროდ.

ეგერი გაოცებული შეჰყურებდა მონადირეს.

— არწივზე? ფრიალოებში გინდათ ახვიდეთ? ბავშვები როგორ ივლიან... ან სადღა არის არწივი ჩვენში? ან რათ გინდათ?

— ფიტული უნდა გავაკეთოთ, ძია ვანო, — ჩაერია ილო. — სკოლაში უნდა მივიტანოთ, დაგვავალეს.

— ჰო, ეგრე გეთქვათ, — გული მოუბრუნდა ძია ვანოს. — ეს კეთილი საქმეა, მაგრამ იცით კი ფიტულის

გაკეთება? ადვილი ხომ არ გგონიათ ფრინველის გატყავება? თანაც, თუ ქონი აქვს მოდებული! გამხდარი სჯობია, ან უნდა აშიმშილო და თავისით მოკვდება...

— შიმშილით? — გააჟრიალა ზურას.

— აბა როგორ, კაცო? ასეა!

— საწყალი... — თავისთვის ჩაიჩურჩულა ილომ.

— მაშ თქვენ რა გგონიათ?... ჰო, იმას ვამბობდი... მერე, თვალებს იშოვნით? მხოლოდ მოსკოვში იყიდება ფიტულისათვის საჭირო თვალები... ჰო, კიდევა, კარტოფილის ფქვილი გინდათ ფიტულის დასამზადებლად, მავთული და გულმოდგინე კირკიტი! ასე ლამაზი გამოდის ფიტული და ბუმბულიც არ გაგიფუჭდებათ. გაიგეთ? ძვალი და ტყავი უნდა იყოს საფიტულე ფრინველი...

ზურამ და ილომ ერთმანეთს გადახედეს.

— ძია ვანო, გაგიკეთებიათ ფიტული? — იკითხა ვაჟამ.

— გამიკეთებია... თუმცა არწივისა არა. დათიკომაც ხომ იცის ფიტულის გაკეთება! მაგრამ სადღაა არწივი?

— რა ვქნათ, ვანო, ახლა? — შეწუხდა მონადირე.

—აი, ასე აყვებით. მხარმარცხნივ, ძველ წიფლიანში შეხვალთ, ფუღუროებში ბუს ბუდეებია. განა ბუ ცუდი ფრინველია? საცრისოდენა თვალები აქვს! ერთი ბარტყი ამოიყვანეთ მხოლოდ! ნება მომიცია ამ ბიჭების ხათრით, უკვე შებუმბლულები არიან...მალე დააფრენენ კიდეც ბარტყებს, ჯერ თუ არ დაუფრენიათ. თუ პატარები ჰყავდეს, დედა არ წაიყვანოთ... ჰოდა, ის თქვენი სკოლა გაახარეთ ბუს ფიტულით!

— კაი კაცი ხარ, ვანო! — შემობრუნდა მონადირე. — მოდი და გამოგვყევი, შენ ხომ ყველა ხე და ბუჩქი იცი ამ ტყეში, ნუღარ გვაწვალებ!

— გამოგვყევით, ძია ვანო! — ყელი გამოვიწიეთ სამთავემ.

— გამოგყვეთ? — ჩაფიქრდა ეგერი. — რა ვიცი... წალკის საზღვრისაკენ მივდივარ... ავ კაცებს მუხები გაუჩეხავთ.

— ძია ვანო, გამოგვყევით, რა! — კიდევ გამოვიდღლიზეთ ყელი.

— ჯერ ეს მითხარით, როგორ სწავლობთ?

— ზურა ხუთოსანია, ჩვენ ოთხებიც გვყავს... — დახარა ილომ თავი.

— ოთხებიო? რათა, კაცო? ზარმაცობთ? დედაენას ეს ეკადრება? ეკლესიას უყურებთ? ხომ არა გგონიათ, ჩვენი წინაპრები ამ უღრანში იმიტომ აშენებდნენ ამ ეკლესიებს, რომ მარტო ღმერთისა სჯეროდათ? ან იქ, ბარში ვერ ილოცებდნენ? არა, ჩემო კარგებო, აქ იწერებოდა წიგნები, აქ ინახებოდა დედაენა.

— დაიცა, ვანო, ყველაფერი წინ არ არის ჯერა? ისწავლიან, უკეთ ისწავლიან, ხომ ასეა, ბიჭებო?

— მაშ! — ერთხმად დავუკარით კვერი.

— კარგი, წამოგყვებით, თუ ასეა. რა გაეწყობა! — გაგვიღიმა ძია ვანომ.

წამოვიშალენით. ძია ვანომ თოფი გადაიკიდა მხარზე.

— წავიდეთ მაშინა წიფლიანში.

შეღმართი დაიწყო. სიარული ჭირდა. ძია ვანო წინ მიგვიძღოდა. მალე შერეული ტყე დამთავრდა და ფოთლოვანში გავედით. ძირს ხმელი ტოტები ეყარა, ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაუდიოდა. ნეშომპალაში ბალახს ამოეყო თავი, გაცრეცილი ღია მწვანე ფერი გადაჰკრავდა. ალაგ-ალაგ ბუჩქები ამოზიდულიყო, მწვანე თივის ზვინებივით გადაეკვერცხათ ქოჩრები. წიფლიანში ვიყავით. ხავსმოკიდებული გოლიათები ერთიმეორის მიჯრით ამოზიდულიყვნენ მიწიდან და ცას შესდგომოდნენ მძლავრი მხრებით. ძია ვანო ხმადაბლა ღიღინებდა და ნელა მიიწევდა წინ. ბებერ ხეებთან შეჩერდებოდა ხოლმე და ათვალიერებდა გულმოდგინედ. რბილად გვეფლობოდა ფეხი ნეშომპალის რუხ ხალიჩაში.

— მაშ, არწივიო, არა? — გაჩერდა ძია ვანო, — ყველას თოფი უჭირავს, ბრალიანს და უბრალოს! ვითომ სწორია ეგ? სულ გავაწყვეთ ფრინველი და ნადირი, მცენარეებიცა. აბა, თვალით მაჩვენეთ იორდასალამი, მახობელა... ხომ გადაშენდა ჩვენს თვალწინა?... სარეველაო! მერე რა, რომ სარეველაა, იყოს, ნუ ამოვთხრით ძირიან-ფესვიანადა! ეს უზომოდ ჰერბიციდებიო, ეს შხამები... არწივი კი არა, მწყერიც [illegible]დება, ფუტკარიც აღარ გვეყოლება! არადა, როგორ ვიცით თავის მოწონება, ჩვენიო, ქართულიო, ყველასაგან გამორჩეულიო...

ძია ვანო ერთ ხავსმოკიდებულ და ტოტებშემხმარ წიფელთან გაჩერდა. ხე იყო, გიორგი სააკაძეც ვერ შემოუწვდენდა მკლავებს!

— ჩემი გუმანითა, — ხელი გაიშვირა ძია ვანომ, — აქ უნდა იყოს ის ზემოთა ფუღურო. ჩანს კიდეცა, ბუს ბუდეც იქ არის. მაგრამ ვინ ავა?

— მე ავალ, — წინ წადგა ვაჟა.

— რო არა ჩანს ფუღურო? — დაეჭვდა ილო.

— მოიცათ, აბა ერთი ამ ფოთლებს დახედეთ... ვისი ნასკინტლარია ესა? ახლა წიფელს ახედეთ, როგორ ჩამოუთეთრებიათ! იქა ზის ხოლმე ერთი თავგასიებული ბუ. რო ჩავუვლი, ისე იქცევა, ვითომც ვერა მხედავს, მაგრამ მხედავს, განგებ იბრუციანებს თავსა! ღამეც გამივლია და დღეცა აქ უნდა იყოს საცრისთვალება. მაშ, ახვალ შენა? ფრთხილადა, ფრთხილად, არ ჩამოვარდე. ფეხზე გაიხადე. ისიც კარგია, მიწაზე რომ ფეხისგულებს დაადგამ, ასე უფრო ახლოს არის მიწა!

ვაჟამ კედები გაიძრო, ზურგჩანთა ხის ძირში მიაგდო.

— არ შეგეშინდეს, ბიჭო — გაამხნევა ძია დათიკომ, — ბუ არ იკბინება!

— შიშიო? — გაიკვირვა ძია ვანომ, — მაშ რაღად მოდიოდნენ?! აქ არა ვართ?! ე ხალათი გაიხადე მერე, შიგ გამოახვიე და ჩამოუშვი ძირსა. დავიჭერთ ჰაერში, ნუ გეშინია, ვერსად წაგვივა!

ვაჟას მხრები მივუმარჯვეთ, მაღლა ავწიეთ და ისიც კატასავით მოეჭიდა დაყანდებულ წიფელს. შემოეხვია და შემოეტმასნა. ნელ-ნელა მიიწევდა ზემოთ, მერე როკზე მოიკიდა ფეხი და როცა ტოტებიც დაიწყო, აღარა უჭირდა-რა.

—არის, ძია ვანო, ფუღურო! — ჩამოგვძახა ვაჟამ.

— მაშ არ იქნება?! მანდ უნდა იყოს.

მართლაც, რაღაცამ შეიფრთხია-

ლა და ხმელ ტოტებს დაეჯახა, ძირს დაენარცხა, მერე ავარდა და გაუჩინარდა.

— ხომ გითხარით, ის არის-მეთქი, ის თავგასიებული... ვიცნობ, ეგეც მიცნობს. ახლა ჩაჰყავი ხელი და არ შეგეშინდეს!

ვაჟას გამხნევება აღარ სჭირდებოდა. სახელო აიკაპიწა და იღლიამდე ჩაჰყო ფუღუროში ხელი.

— არის, ძია ვანო, შიგ რაღაც არის!

— არის და ამოიყვა! ხალათში გამოახვიე... ჩამოსვლისას ცოტას დაიფხაჭნები, მაგრამ არა უშავს-რა.

ვაჟამ რის ვაი-ვაგლახით ამოათრია ბარტყი და ხალათი გაიძრო, შიგ გამოახვია და გადმოგვხედა.

— კიდევ არის შიგა, ძია ვანო!

— ვიცი, შვილო, ვიცი, ორი ეყოლება. ერთი დაუტოვე, ცოდოა დედა... აბა, ჩამოაგდე ეგ ხალათი!

ჰაერში დაიჭირა მონადირემ ხალათი და ფრთხილად გამოხსნა. შებუმბლული ბუს ბარტყი ამოიყვანა და თავზე ხელი გადაუსვა.

— სადაცაა დააფრენდა! რა ლამაზია ეს დიდთავა!

ვაჟა ჩამოძვრა ხიდან.

—აბა, ახლა ნახვამდის, კეთილი იყოს ჩვენი მომავალი შეხვედრა! — გვითხრა ძია ვანომ და წავიდა.

●

გეგმა ავტობუსში შევიმუშავეთ. ბუს ბარტყი გალიაში უნდა ჩაგვესვა და გვეშიმშილებინა.... ასე არ გვითხრა ძია ვანომ?... კარგი ფიტული გამოვაო...

გალია ძია დათიკოს მაისის ბლის ქვეშ დავდგით. მოსულებს ბუ საცრისოდენა თვალებით გვხვდებოდა. თითქოს მოკვიტინდა კიდეც, ბუმბული დაებზინა. სექტემბერი კარზე მოგვადგა და ძია დათიკომ მხრების ჩეჩვას უმატა:

— რაღაცა ამბავია, ბიჭებო! ე მამაძაღლი ძალიან ყოჩაღად გამოიყურება, ვერ ატყობთ?

— რა ამბავი უნდა იყოს, ძია დათიკო?

— გეტყვით... ცოტა დამაცალეთ და გეტყვით. მაინც გავიგებ.

●

შუაღამე გადასული იყო, როცა ზურა ფრთხილად გადაევლო ღობეს. ზეპირად იცოდა მონადირის ეზოს ყოველი კუთხე-კუნჭული. შარვლის მარჯვენა ჯიბე გამობერვოდა. ფეხშიშველი იყო. საამურად უღიტინებდა ნამიანი ბალახი ფეხისგულებზე. ეზოში სინათლე ჩაექროთ. სახლშიაც ეძინათ ალბათ. აი, მაისის ბალიც, აქა დგას რკინის პატარა გალია. ბიჭი ბლის ძირში შედგა და ლამის გული გაუსკდა: სამფეხა სკამზე კაცი იჯდა. ოდნავ ისახებოდა ბლის მოჩარდახულში.

— ი, ზურა, შენა?!

დათიკო მონადირე იყო... ხელი წაავლო ზურას და გვერდით დაისვა.

— ცოტა ხანს იყუჩე, — წასჩურჩულა ბიჭს მონადირემ.

ახლა უკვე ორი ლანდი გატრუნულიყო მაისის ბლის ქვეშ. მართლაც, დიდხანს არ გაუვლია, მეორე ლანდი შემოვიდა ბაღში ფეხაკრეფით, ესეც აქეთ წამოვიდა, გალიისაკენ, სადაც ბუს ბარტყი თვალებს აკვესებდა.

— შენა, ვაჟა? — წამოიწია დათიკომ.

— მე ვარ...

— მოდი, დაჯექი ჩვენთან.

ახლა უკვე სამი ლანდი ელოდებოდა მეოთხეს. ბიჭების გულებს ბაგაბუგი გაუდიოდათ. ხმას არ იღებდნენ. ლამის უკმურმა [illegible] ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ლანდიც მალე გამოჩნდა. რაღაცას წამოჰკრა ფეხი და ბაღის კარებში გაიშხლართა. მოგუდული ხმით „ვაი დედა“ აღმოხდა. დათიკო მონადირე წამოდგა და ლანდისაკენ გაეშურა.

— ილო, შენა? ხომ არაფერი იტკინე?

— არა, ძია დათიკო...

დათიკომ შუქი აანთო ეზოში. ბიჭები თავჩაქინდრულები იდგნენ. მონადირე იღიმებოდა.

— აკი გითხარით, რაღაცა ამბავია-მეთქი... საჭმელი მოუტანეთ? მერედა ერთ ბარტყს რად უნდოდა ამდენი საჭმელი? მოგელაპარაკათ მაინცა! ვერ გაიმეტეთ სასიკვდილოდ, ბიჭებო, ბარტყი? მერედა, სიკვდილიც არის და სიკვდილიცა, არა? შიმშილით სიკვდილი ავი კაცის მოგონილია! ვანო კარგი კაცია და არა მჯერა, რომ თავის შვილიშვილებს ასე გაუკეთებდა ფიტულს! ისე თქვა, რაღა, სიტყვის მასალად! კარგი და, მთავარი რომ გავიწყდებოდათ? განა ბუს წყალი არ უნდოდა? უწყლოდ როგორ გაძლებდა?! რაღა დაგიმალოთ და, წყალს მე ვუსხამდი... იყოს, იცოცხლოს ამ თავგასიებულმაც! სკოლაში ცოცხალი მიიყვანეთ, უფრო გაუხარდება ლეილა მასწავლებელს!

მთვარემ გამოანათა ღრუბლებიდან. ბუ დიდრონი თვალებით მოგვჩერებოდა, რაღაცის თქმა უნდოდა თითქოს. ნეტავი რა უნდა ეთქვა?






ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №12

## სულელი ხარაბუზა

იყო ერთი სულელი ხარაბუზა უსაქმურად დაბზუოდა მთელი დღე ტყეში. ხან რას მიადგებოდა, ხან — რას.

ერთხელ ხარაბუზამ გვირილაზე მჯდომი მწარედ მოქვითინე ფუტკარი დაინახა. ჰკითხა, რატომ ტირიო.

— შვილი დამეკარგაო, — უთხრა ფუტკარმა, — ყველაზე დიდი, ყველაზე დიდყურა, ყველაზე დიდცხვირა შვილიო.

ხარაბუზა დახმარებას შეჰპირდა და გზა განაგრძო. მალე ერთ ველზე თვალი მოჰკრა სპილოს და გაიფიქრა: ყველაზე დიდი, ყველაზე დიდცხვირა სწორედ ეს არისო... მიფრინდა მასთან და უთხრა: — დედაშენი გეძებს, მწარედ მოსთქვამს, გამომყევი, მე გაგიძღვები და მიგიყვანო. სპილო გაჰყვა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ხარაბუზამ სპილო სკასთან მიიყვანა. უთხრა, დამიცადეო, ფუტკართან მიფრინდა და ახარა, შვილი მოგიყვანეო. ფუტკარი იმ წამსვე გამოფრინდა გარეთ. სპილოს ისე შეეშინდა, რომ ხორთუმი აიშვირა და ყვირილი მორთო. ფუტკარს კი ელდისაგან გული წაუვიდა.

სულელი ხარაბუზა გაფრინდა. სპილოს შეეცოდა ფუტკარი, ხის ტოტი დაარხია, ფუტკარს ხამი დაასხურა და მოასულიერა.

დათო ჯაფარიძე,
თბილისის 24-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი

## პატარა მეგობრები

მეგობრები არიან
მაია და ნათია,
ჰყავთ პატარა თოჯინა
თვალხუჭუნა თათია,
ბაღშიაც და ეზომიც
ყველგან ერთად დადიან.

ქეთინო ოთარაშვილი,
თიანეთი, ჩეკურაანთკარის
8-წლიანი სკოლა, VI კლასი.

## მერცხალი

ბუდეს იშენებს მერცხალი,
აღარ იზოგავს თავს,
მალე ბარტყებსაც გამოზრდის,
მძივად შეაბამს ცას.

ეკა ტოროშელიძე,
თბილისის 51-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

## თანატოლებს

ჩვენ გვზრდის პარტია,
მშვიდად გვძინავს,
ვიზრდებით ლაღად
და გულს ახარებს
ლაჟვარდი ცა,
ფრინველთ გალობა;
ღიაა ჩვენთვის
საოცნებო მომავლის კარი,
ოღონდ ვისწავლოთ,
გამოვადგეთ შთამომავლობას.
ვართ პიონერნი!
პიონერი ხომ პირველს ჰქვია,
პირველნი ვიყოთ
ყველგან ყველას სასიხარულოდ,
მაღლა ვიაროთ,
კიდევ მაღლა
და კიდევ მაღლა,
დიდო მამულო,
ვიყოთ შენი სასიქადულო.

გიორგი კამკამიძე,
თბილისის 57-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



ჩვენ მშვიდობა გვინდა!
ზაზა ნატროშვილი, 8 წლის.

## ფისუნია

— ფისო, ფისო, ფისუნი,
რატომ მოგიწყენია?
— მე კატლეტი მინდოდა,
აქ კი მარტო წვენია!..

ეთერ ზაალიშვილი,
თბილისი, მე-8 ექსპერიმენტული სკოლა, II კლასი.

## ზამთარი

რა ლამაზი ხარ, ზამთარო,
როგორ გიხდება ფიფქები!
მთა-ბარო, გათეთრებულო,
შენს მოლოდინში ვიქნები.

თამრიკო ქარჩაიძე,
თბილისის 114-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## წყარო

თოვლი დაადნო სითბომ,
მთიდან ჩამორბის წყარო,
მორბის და მოიმღერის
ნახეთ, რა კარგი ვარო.

## [illegible]

წკრრრ, წკრრრ! — რეკავს ზარი,
სკოლისაკენ გვიხმობს ჩვენ,
ზაქარია ზარმაცი
ლოგინში წევს ჯერ.

ჩაფუთნულა, ჩამთბარა,
თითქოს ისევ ზამთარია.
— ადე, ბიჭო ზაქარია,
ზარი რეკავს რა ხანია.

### მარტი

მთელი დღეა, მზე და თოვლი
ეჯიბრება ერთმანეთს,
ხან ფიფქები ნავარდობენ,
ხან მზის სხივი ანათებს.

ბოლოს სხივმა გაიმარჯვა,
ფიფქი ცრემლად დაიღვარა,
მზემ ტყემლის ხეს გაუღიმა
და ლამაზად ააყვავა,
თეთრი კაბა შეუმშრალა,
ველ-მინდვრები აამწვანა.

გვანცა აბდალაძე,
თბილისის 77-ე საშუალო
სკოლა, 11 კლასი.



მწყემსი. მამუკა ფირცხალავა, VI კლასი.

### წერილი

— ჩვენთან ამოდი არდადეგებზე,
შენს მოლოდინში ვიქნებით,
მთიდან გამონაქროლ არწივს
აბარებენ
ჯიხვები.
— ჩვენთან ამოდი, გულით
გევედრები,
სულ კამკამელა ვარო,
ნიავს აბარებს სოფლის ცივციველა
წყარო.
— დედას თაფლი აქვს
გადანახული,

არდადეგებზე გელი, —
კოდალამ მომიტანა, ტყიდან
წერილსა მწერს
ბელი.
ღამით ვარსკვლავებმა მესროლეს
ციმციმი,
ციმციმს აწერია ლამაზი ხელით:
„მთვარეს ნადიმი აქვს
არდადეგებზე,
გელით“.

სოფიკო ტუღუშელაშვილი,
ვანი, ბზვანის საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

### სიყვარულით, ციხესიან

(ხალხური გადმოცემით, ამ ციხესთან თამარ მეფეს გაუვლია)

დრო-ჟამისგან ნალოკი
ორად-ორი კედელი
დარჩენილა ბექობზე
ნისლის თეთრი ქულაჯით,
წამომდგარა მკვდრეთიდან
კაცი რკინისმკვნეტელი
და ხავსიან კედლიდან
გაფრენილა დურაჯი.

გაფრენილა დურაჯი,
შორს, ცისაკენ წასულა...
და თუმც მერე მრავალგზის
მტრებმა შანთით დაგვდაღეს,
დგას დღეს სული ქართული —
ერის დიდი წარსული —
და უხსოვარ დროიდან
მომავალზე ღაღადებს.

### სურათი

კორტოხებზე აჭარული
სახლები და ოდებია,
ოქრო-შემოდგომის ფერი
ოქრო ყანებს მოსდებია.

შავნაბადის დგანან მთები
ციხის დაშლილ გოდოლივით,
ხის ტანები ირწევიან
გაფრენილი ფოთოლივით.

ზურაბ ზოიძე,
შუახევის რაიონის ახალდაბის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## საინტერესო სიახლენი

### ქარხანა მუშების გარეშე

იაპონიის ქალაქ ნაგოაში მწყობრში ჩადგა პირველი ქარხანა, სადაც ვერ ნახავთ ერთ მუშასაც კი. იგი სახარატო და სხვა მეტალურგიული ჩარხებისათვის დეტალებს ამზადებს. აქ „მომუშავე“ რობოტები იმდენ პროდუქციას ქმნიან, რასაც 200 კვალიფიციური მუშის შრომა დასჭირდებოდა. მთელ წარმოებას ხელმძღვანელობს ცენტრალური კომპიუტერი. ქარხნის აშენებასა და აღჭურვილობაზე დახარჯული სახსრები ორიოდე წელიწადში ანაზღაურდება — ქარხანა დღე-ღამეში 24 საათს მუშაობს, თანაც — ყოველდღე.

### მიკერების ნაცვლად — მიდუღება

შვედმა კონსტრუქტორებმა დაამზადეს ღილი, რომელსაც ტანისამოსზე მიკერება არ სჭირდება. ღილს უკანა მხარეზე პლასტმასის თამასა აქვს, მას ტანსაცმლის ქსოვილს ულტრაბგერის საშუალებით მიადუღებენ და მორჩა. ეს პროცესი იაფი და იოლია, შედეგი — უკეთესი.

### ფოლადისა და ბეტონის ნაცვლად

წყალსატევების კედლებისა და ფსკერის მოსაპირკეთებლად, ჩვეულებრივ, ფოლადი და ბეტონი იხმარება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლებმა კი საკმაოდ დიდი წყალსატევი პლასტმასით მოაპირკეთეს, რითაც მშენებლობის ვადა 25 პროცენტით შეამცირეს.

### მანდარინის ქერქი — საწვავი

იაპონიის ქალაქ ხამამაცუს ენთუზიასტთა ჯგუფმა მანდარინის ქერქისაგან მიღებული საწვავით მომუშავე ავტომობილისა და ორი მოტოციკლის საცდელი რბოლა მოაწყო. სპეციალისტების მტკიცებით, მანდარინის საწვავი არაფრით ჩამოუვარდება ჩვეულებრივ ბენზინს. მაგრამ საეჭვოა, მანდარინის ქერქი უახლოეს ხანში ენერგიის წყაროდ იქცეს, რადგან ერთი ლიტრი საწვავის მისაღებად 11 ათასი მანდარინი უნდა გაიფცქვნას.

### „მზის ჩიტი“

ათას ხუთას კილომეტრზე მეტი იფრინა ინგლისელმა ბერნარდ უილსონმა თვითმფრინავით, რომლის ძრავა მზის ენერგიით იკვებებოდა. თავისი აპარატით — „მზის ჩიტით“ უილსონმა იაპონიის კუნძულებს კიუსუს და ჰონსუს გადაუფრინა და მხოლოდ ოთხჯერ დაჯდა მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ნათელა ფაილოძე.

პიონერთა ახალი საკავშირო მარშის პირველი დღიდანვე რაზმეულებმა ბევრი კეთილი საქმე წამოიწყეს. პიონერული სიტყვა კონკრეტულ საქმეებში ისხამს ხორცს... მარშის გზებზე ნორჩ ლენინელებს უფროსი პიონერხელმძღვანელები მიუძღვებიან. ჩვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე სიტყვას ვაძლევთ საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატს, ბათუმის პირველი საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს გუგული ტაბიძეს.

### სამი სიმაღლე — სამი აღმართი — სამი შეტევა!

ორი წელია, რაც ჩვენს რაზმეულს შეფობენ ბათუმის გემთმშენებელი ქარხნისა და შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციები. შეფებთან თავიდანვე შევთანხმდით: პიონერების, მუშებისა და სტუდენტების საქმიანობა ერთი დევიზით უნდა წაგვემართა: „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“ ჰოდა, როცა მესამე-მეოთხე, მეხუთე-მეექვსე, მეშვიდე-მერვე კლასები შეფებთან ერთად მარშის 5 მარშრუტის მიხედვით დახალაშქრავ სიმაღლეებს გაეცნენ, დევიზმა — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“ — კვლავ წინა პლანზე წამოიწია.

— ვიღებთ სამ სიმაღლეს!

— ეს სამი აღმართია —

— სამი შეტევა!.. — ბჭობდნენ პიონერები და ყველა რაზმმა თავისი სიმაღლის დასალაშქრავად შეფებთან ერთად კონკრეტული გეგმა შეიმუშავა.

უნდა ითქვას, რომ ამ მნიშვნელოვანი პიონერული დოკუმენტის გაცნობისას პიონერებმა შეამჩნიეს, რომ ახალი მარშის პროგრამა შესამჩნევად განსხვავდება წინანდელისაგან. ამჯერად ხომ მარში თითოეული პიონერისადმი არის მიმართული, ხოლო რგოლის თუ რაზმის ბრძოლისუნარიანობა და სიმტკიცე, ნორჩ ლენინელთა თაოსნობა და თვითმმართველობა თითოეულის პირად მონაწილეობაზე, აქტიურობაზეა დამოკიდებული; ჰოდა, ამ საქმეში ჩვენს პიონერებს შეფი კომკავშირელები, მასწავლებლები, მშობლები ეხმარებიან... მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, ვინც არ უნდა დაგეხმაროს, მთავარი მაინც შენი პიონერული სიტყვა, მისდამი სინდისიერი დამოკიდებულებაა, რომელსაც საქმე უნდა მოყვეს... და როცა შემოწმების დრო დადგება, პირნათელი იქნები შენი თავისა და სიტყვის წინაშე. რაზმეულის საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ ქეთინო ზაქარიაძემ სწორედ ასე განუმარტეს თითოეულ პიონერს მარშის მიზანი. პიონერებმა უკვე ისიც იციან, რომ სიმაღლეები ერთმანეთისაგან დაცილებულნი არ არიან და მათ შორის არავითარი გადაულახავი ზღუდე არ არსებობს, პირიქით, ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან და დაწყებული საქმის გაგრძელებას წარმოადგენენ. და თუ როგორ სრულდება ეს, ამის შესახებ დღიურები გვიამბობენ:

„...თითოეული კილოგრამი მაკულატურა დაზოგილი ნაძვია, წიფელია, ნეკერჩხალია... ჟანგბადია... ცივი წყაროა... რაზმეული ყოველ შაბათს გადის ოპერაცია „თეთრი ფარის“ რეიდზე, გასული თვის მარტო ერთ შაბათს პირველმა, მეორე, მეექვსე, მეათე რაზმებმა 2220 კგ მაკულატურა შეაგროვეს. ოპერაცია „მილიონი სამშობლოს“ მოქმედებს“.

„პიონერმშენის“ სექტორის ხელმძღვანელი

ი. გვარიშვილი

„პირველი რაზმის პიონერებმა წარმოადგინეს ლადო ასათიანის „ბასიანის ბრძოლის“ ინსცენირება.

საღამო პიონერებმა მასწავლებლებისათვის მოამზადეს“.

1-ლი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე

ნ. დონდოლაძე

„მუშაობას შეუდგა „კვირა დღის კლუბი“. კლუბი ამ დღეს სპორტული შეჯიბრებების, თამაშობების, ლაშქრობების ორგანიზატორია...“

# ღრუბლების მომშინაურებელი

(გაგრძელება)

და მზესთან ერთად დგებიან. როგორც ბებიაჩემი ამბობს, დასტურ, ასეა. ლონგო კი იმასაც ამბობს, ყვავილები მიწის სიცილიაო, — ერთი კისკისებს, მეორე ხარხარებს, მესამე ხითხითებს, ოღონდ ეს ადამიანს არ ესმისო.

— ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, ვინ არის ეგ შენი ლონგო, სულ მისი სიტყვებით რომ მელაპარაკები?

— აკი გითხარი, უბრალო მეფუტკრე და მწყემსიამეთქი. ამ მთებს არ შორდება. მარტო სოფლის ნახირს კი არა, ამ მთა-ბარსაც მწყემსავს და უვლის. ლონგოს ყველა უყვარს და ლონგოც ყველას უყვარს.

— ბედნიერი კაცი ყოფილა. — თქვა ლიამ და ამოიოხრა რატომღაც. — ქალაქში, აივანზე ქოთნებით ალოე გვიდგას. იცი, როგორ მრავლდება? დაამტვრევ ალოეს ღეროებს, ჩარგავ და... იხარებს. ასეა კაქტუსიც. დაამტვრევ, ჩაყრი მიწიან ქოთანში და ყველა ნატეხი ცალკე კაქტუსად იქცევა. აქ სულ სხვა არის. სილამაზეცაა და სილამაზეც. ისე მსუბუქად ვარ, ლამის ცაში გავფრინდე ამ მინდორთან ერთად.

— ლონგო ამასაც ამბობს, ყველა ყვავილი რაღაცის წამალია, ვინც ყვავილებთან ახლოს ცხოვრობს, დიდხანს ცოცხლობსო. ყვავილებთან ჰაერიც სხვაა. ერთ წიგნში წავიკითხე, თურმე ტოკიოში ისე ცოტაა ჟანგბადი, ყველა ქუჩაში დგას ჟანგბადის გამყიდველი ავტომატები, როგორც ქალაქში გაზიანი წყალი იყიდება. ნეტავ შეგვეძლოს, ამ მთების და ველ-მინდვრების ჰაერი გავუგზავნოთ ყველას, ვისაც ჰაერი აკლია, ჩვენი მდინარეების წყალი გავუზიაროთ მათ, ვისაც წყალი ენატრება. მე რომ ვინატრე, მინდა ღრუბლების მომშინაურებელი გავხდე-მეთქი, მგონი, სუფთა ჰაერის მომშინაურებლებიც საჭირო იქნება მალე დედამიწის ზურგზე. როგორც ბებიაჩემი იტყვის ხოლმე, დასტურ, ასეა.

ვიდრე ლეო და ლია საუბრობდნენ, წითელფორეჯებ-

„რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების — ვალენტინა სადრაძის, ანგელინა სიხარულიძის, იუნა მადონიანის, ანგელინა გუგუშვილის დახმარებით პიონერული შეკრება რუსულ ენაზე ჩატარდა“...

„ბორის ძნელაძის სახელი ძვირფასია ყველა ქართველისათვის. საქართველოს კომკავშირის ფუძემდებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას მიეძღვნა პიონერული კვირეული. კვირეული მოამზადეს ბ. ძნელაძის სახელობის № 7 რაზმმა და რაზმეულის საბჭოს წევრებმა. ხუთი საუკეთესო პიონერი — ნ. ძნელაძე, მ. გიგაშვილი, ნ. ბარაბაძე, გ. ორაგველიძე, შ. ორაგველიძე ბორის ძნელაძის სახლ-მუზეუმში, სოფელ ბურნათში მივავლინეთ. ნორჩ დეკლამატორთა საქალაქო კონკურსში — „გადიდებ შენ, კომკავშირის სიჭაბუკევ!“ — პიონერებმა მ. გვაზავამ და ქ. ბოლქვაძემ ჟიურის კარგი შეფასება მიიღეს“.

„მოვაწყვეთ ლიტერატურულ-მუსიკალური დილა — „გაიდარი წინ მიგვიძღვის“. ამ დღეს კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ არკადი გაიდარის დაუმთავრებელი მოთხრობის ირგვლივ. პიონერთა მე-12 რესპუბლიკური შეკრების შემდეგ ხომ საქართველოს ნორჩი ლენინელები კოლექტიურად წერენ მის გაგრძელებას, წიგნს — „წიგნად შეკრული სხივები.“

რაზმეულის საბჭოს წევრი
ლელა დავითაძე.

„ბათუმში გაიმართა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრი წყალბურთში. ჩამოვიდნენ სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები. ჩვენს სკოლაში მოვიწვიეთ მოლდაველ მოსწავლეთა ჯგუფი, ვესაუბრეთ საქართველოზე, გავაცანით აჭარის ღირსშესანიშნავი ადგილები, დავათვალიერებინეთ ბათუმის დელფინარიუმი, ერთად ვიყავით მუზეუმებში, პიონერთა პარკში; შევასწავლეთ ქართული სიმღერები, ცეკვები; შემდეგ სიტყვა სტუმრებს მივეცით. მათ მოგვითხრეს თავიანთი რესპუბლიკის, მშობლიური სკოლის შესახებ, გვასწავლეს მოლდავური ხალხური სიმღერები“.

რაზმეულის საბჭოს
თავმჯდომარე
ქეთინო ზაქარიაძე.

ყველა საქმე პიონერულ სიტყვას მოყვება. ახე რომ, პიონერულ დღიურში ბ. რშიხ გამოცხადებით, შემდეგ ბევრი ჩანაწერი გაჩნდა.

როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, მის ირგვლივ წამოჭრილი ყველა საკითხი განიხილება პიონერული აქტივის სწავლების სკოლის მეცადინეობაზე, ან, უბრალოდ, წამსვე ჯაჭვური წესით იკრიბება და თათბირს მართავს აქტივი. პიონერებს ვურჩევ, შეკრებაზე, სადაც ისინი პიონერულ სიტყვას წარმოთქვამენ, კლასის ხელმძღვანელთან ერთად ყოველთვის მოიწვიონ რაზმის ხელმძღვანელი, რაზმეულის საბჭოს წევრი, შეფები, პარტიის, კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის ვეტერანები.

რაზმების მუშაობაში წარმატების საწინდარი მუშაობის სწორი დაგეგმვაა, ამაში ჩემი აქტივიც დამემოწმება. მაგრამ ის, ვინც ფიქრობს, მუშაობის დაგეგმვა მხოლოდ გეგმის შედგენას ნიშნავსო, შემცდარია.

შეიძლება ბევრი საქმის დაგეგმვა, მაგრამ აბა რად გვინდა ისეთი გეგმა, რომელიც არ შესრულდება? მაგრამ თუ სამუშაო გეგმას დროდადრო გადავხედავთ და ავწონ-დავწონით, თუ გავარკვევთ, რა შეცდომები დავუშვით ან რა წარმატებებს მივაღწიეთ მისი შესრულების პროცესში, ეს ძალზე დაგვეხმარება მომავალი გეგმის შედგენისას.

ახეც ვაკეთებთ, [illegible]ბული საქმე ჩვენს რა[illegible]ულში ჯერ რგოლის შეკრებაზე ფასდება, პიონერები ახასიათებენ თითოეული პიონერის აქტივობას, მის მონაწილეობას რგოლის თუ მთელი რაზმის ცხოვრებაში. რაზმის შეკრებაზეც თითოეული საკითხი დაწვრილებით განიხილება.

მთავარია, ღონისძიებათა სიმრავლემ კი არ გაგვიტაცოს, არამედ ნამდვილ საქმეზე ვიფიქროთ. თითოეულმა შესრულებულმა საქმემ სარგებლობა უნდა მოუტანოს რაზმს, პიონერს, გარშემო მყოფთ. ყველამ უნდა მოძებნოს თავისთვის საინტერესო საქმე და თითოეული მათგანი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი სიმაღლის აღებას, სამივე ალმართის წარმატებით დალაშქვრას. მიზნის მიღწევა არ გაგიჭირდებათ, თუ თქვენს გეგმაში ხშირად ჩაიხედავთ და საკუთარ თავს შეეკითხებით: გავაკეთეთ კი ყველაფერი, რაც შიგ ჩავწერეთ?. არ დაგავიწყდეთ პიონერული სიტყვა, შეასრულეთ ის; მუდამ აღნიშნეთ აქტიურები, გააკრიტიკეთ ისინი, ვინც საქმეს თავს არიდებენ... მერედა, რა კარგია, როცა სიტყვა საქმეს არ სცილდება!

დაყრილმა, ლურჯთეთებიანმა ორმა პეპელამ ფართფატით შემოუარა მათ.

— დედავ ჩემო, რა ლამაზი პეპლებია, პირდაპირ სასწაულია! — წამოიძახა ლიამ და დაჭერა დაუპირა. ამაოდ სდია, ვერ მოიხელთა.

— ლეო, დაიჭირე, რა! გეხვეწები! ჰერბარიუმისათვის მინდა.

— პეპელა ჩემ სიცოცხლეში არ დამიჭერია. თურმე სულ ერთ-ორ დღე-ღამესა ცოცხლობს, ეს პატარა წუთისოფელიც მოვუსწრაფო?

— ვაიმე, რომ მინდა!

— არ შემიძლია! რაც არ შემიძლია, არ შემიძლია.

ლიას აქედან წასვლა აღარ უნდოდა, ლეომ დააჩქარა, გვაგვიანდებაო.

ის-ის იყო ყაყაჩოებით გაბრდღვიალებული ველი გადაიარეს, ლიას ფეხთან დიდმა მწვანე კალიამ ისკუპა და ცოტა მოშორებით მეორე ასეთსავე კალის ზუსტად ზურგზე დაახტა. ლია შეცბა. მერე გოგონამ ისიც დაინახა: ანაზდად აქეთ-იქით ორი სხვა კალია ახტა და ერთმანეთს ჰაერში ბრმად დაეტაკა. ორივე ძირს დავარდა მაშინვე. ერთმა იმარჯვა, დანარცხებისთანავე მოიკრიბა ძალ-ღონე, ერთობ თხელი, გამჭვირვალე ფრთები გაშალა და არხეინად გაფრინდა. მეორეს, ეტყობა, ფეხი და ცალი ფრთა დაუზიანდა, კუტივით დაიწყო ფორთხვა.

ლეომ ხეიბარი კალია ფრთხილად დაისვა ხელისგულზე, ეგებ ასე უფრო იძალოს, როგორმე გაშალოს ორივე ფრთა და იმ ყოჩაღ კალიასავით მარჯვედ გაფრინდესო. მერე სული შეუბერა და... ხეიბარმა, კალიამ მართლაც გაისწორა მხარი და ფრრრ! — გაუჩინარდა.

— ბიჭო, კალიებიც გეცოდება? — ადრინდელი წყენით ჰკითხა გოგონამ. — ეგ ოხრები ხომ ნათესებს ანადგურებენ?!

— ჯერ ერთი, აქ ნათესები არაა, მეორეც, შემებრალა, იმიტომ, რომ შემთხვევით, სულ ტყუილუბრალოდ კინაღამ დახეიბრდა. იფრინოს, ალბათ ეგეც სჭირდება მინდორს. ერთ წიგნში წავიკითხე, თურმე მგლებიც კი საჭირონი ყოფილან. თურმე, სადაც მგელი არაა, იქ ირემი ისე ზარმაცდება და ჩიავდება, სირბილიც კი აღარ შეუძლია. მგლის შიში აფხიზლებს ირმებს.

გაგრძელება იქნება



### შუქურა შუაგულ ხმელეთზე

დრეზდენის (გდრ) მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ მორიცბურგში მომცრო ტბის პირას მდგარი არქიტექტურული ძეგლი აქ პირველად ჩამოსულის გაოცებას იწვევს. საქმე ის არის, რომ ეს ძეგლი ნამდვილი შუქურაა. მაგრამ როგორ აღმოჩნდა იგი შუაგულ ხმელეთზე, ბალტიის ზღვის ნაპირებიდან ასობით კილომეტრის დაშორებით? აი, როგორ:

ერთ-ერთი კურფიურსტი (მთავარი), რომელიც საქსონიას XVIII საუკუნის დამლევს მართავდა, გატაცებული ზღვაოსანი გახლდათ, ოღონდ ზღვაოსანი იყო მხოლოდ სულით, რადგან საქსონიას ზღვაში გასასვლელი არ გააჩნდა. ჰოდა, რათა თავისი გატაცება როგორმე დაეკმაყოფილებინა, კურფიურსტმა თავის ქვეშევრდომთ უბრძანა, ფლოტი შეექმნათ იმ დროს ცნობილი გემების დაპატარავებული ასლებისაგან. ბრძანება, ცხადია შესრულდა ფლოტის თითოეულ გემს თავისი ეკიპაჟი ჰყავდა და ამა თუ იმ ზეიმის დღეებში ტბაზე საზღვაო ბრძოლებიც კი თამაშდებოდა. ამ სამხედრო-საზღვაო წამო[illegible]ტი დამაჯერებლობის მისაც[illegible] კი[illegible]კეც ააგეს



# ჟურნალ „პიონერში" 1982 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი

## პოეზია

**შამფრიანი ს.** — გაიხაროს მიწამ მშობელმა. №1; რიონის ხეობაში. № 3; სწავლა — შენი მამულისთვის, სწავლა — შენი ხალხისათვის № 5; ბერი წიფელი. № 9.

**ბარათაშვილი ლ.** — ბალადა პურზე. №1.

**ჩხეტიანი მ.** — მამული; მწყემსი ბიჭი; დაჯექ, მიმღერე, დედიკო. №1; მერცხალი. №3.

**ივარდავა დ.** — სიმღერა საქართველოზე. № 2; თაკარა მზეში — ჰინდის მიწაზე. №9.

**ხარაზიშვილი ნ.** — სამშობლო. №3.

**სოლომნიშვილი ზ.** — ვაჟა. № 3.

**დარსაველიძე ნ.** — მზეს მოერია ძილი. №8.

**მიქაძე ქ.** — მიტოვებული სკოლის ჩივილი. № 8.

**მეგრელიშვილი ა.** — მზეს; ასული ხარ, თუ — ძე. №8; შემოდგომა; წვიმის შემდეგ; რამდენიც სურს, ცრას! №10.

**დიდებაშვილი ა.** — მზის საგალობელი. №4; პიონერული ლაშქრული. №8.

**ნამორაძე ა.** — დილა; უსათაური; კოლხეთში. №4.

**გრიგორიანი შ.** — სულ ახალგაზრდა დედები გვყავდეს. №4.

**ჭიჭინაძე გ.** — ამბავი მუხნარში; იავქალა. №4.

**ერიციანი ლ.** — მსოფლიოს ბავშვებს. №4.

**ლორია რ.** — დავალთ დღეის ხინათლედ. № 5.

**ზია ჰ.** — დედები №6.

**მორდავედი** — ძველი წლის ბოლო დღე. №6.

**ბანდანი რ. ზ.** — ჩემს აიადნა გოგონას. № 6.

**შალამბერიძე ლ.** — წიგნი; ნია; ნატვრის ლექსი. № 6.

**აფციაური ი.** — ცხვარში; პიონერის სიმღერა; ორი უსათაურო. №7.

**დიდიმამიშვილი ე.** — ჩითახევი №7.

**მორჩიაული თ.** — სვანეთი. №7.

**მიცკევიჩი ა.** — მამილოს დაბრუნება. №7.

**ნადირაშვილი ე.** — კახეთისკენ მივიმღერი. №8.

**შამანაძე ნ.** — შრომის მადლი; პური; არწივი; ბებიას დარიგება: რა უქნია? №8.

**ასათიანი ლ.** — ჩვენო მამულო, სახიჭადულოვ! № 9.

**შეთეკაური გ.** გზა-ნათელო; მუყაითი ბიჭი; ტყე. №9.

**თათეიშვილი ბ.** ვაჟას წყაროსთან. № 10.

**თოთაძე ლ.** — ბავშვობა; ზამთარი; დღეებია ოქროსფერი. № 10.

**ხანჩევი პ.** — უკვდავების გაკვეთილი. №11.

**თანიაშვილი მ.** — სოფელში. №11.

**გრიშაშვილი ი.** — თბილისი, ბაქო და ერევანი. № 12.

**აბაშიძე ი.** — უზბეკეთში, № 12.

**აბაშიძე გრ.** — რუსეთის ველებზე. № 12.

**ნონეშვილი ი.** — სიმღერა მეგობრობისა. № 12.

**ჩიქოვანი ს.** მოსკოველი მეგობრებისადმი. № 12.

**კაჭახიძე გ.** — დიდი გზა. № 12.

## პროზა, დრამატურგია

**მერაბიშვილი ე.** — გეში. № 1.

**ანდრონიკაშვილი ნ.** — რატომ ჰქვია სოფელს ვარდისუბანი? №1.

**გოლიავკინი ვ.** — ასე ვხვდებოდით ახალ წელს. №1.

**კობერიძე კ.** — უსახურავო კიბე. № 2-5.

**ჩაჩანიძე რ.** — იზარდე, მწვანე ჯეჯილო! № 2, 5, 12.

**ილიანი რ. დ.** — თხიდან აქლემამდე. №2.

**ბეზარაშვილი ნ.** — ძველი სიმღერა. №2.

**გელაშვილი მ.** — ღალატი. №3.

**რიბინი ვ.** — საგზაო სატკეპნი. № 3.

**ვოსკრესენსკაია ზ.** — ფიცი. №4.

**გრიგორიანი ვ.** — რატომ არის კიბორჩხალა მუნჯი? №4.

**ასლამაზიშვილი ვ.** — თაკოს ხარები. №4.

**ქოტევი დ.** — ყარო. №5.

**რურუა ი.** — თუბალთხევის საიდუმლოება. №6, 7.

**სულეიმანოვი ნ.** — სიყვარული. № 6.

**მანსურზადე ა.** — კონცერტი. №6.

**შიხამიროვა რ.** — ველოსიპედი. №6.

**მიროშნიჩენკო ვ.** — ძველი საქანელა. №6.

**კობერიძე ნ.** — მატადორის პატარა ქალის წითელი კაბა. № 6.

**ჭიჭინაძე გ.** — ქალალდის ჩიტი. №7.

**კლარკი ა.** — მხატვარი. №7.

**საქსე ა.** ალუბალი. № 7.

**გოგოლაშვილი ვ.** ჰინკების ბრიგადა. № 8, 9, 10.

**ნესტაიკო ვ.** — ფიგურა. №8.

**დიდიძე ა.** — დედობილი. №8.

**პეტრიაშვილი გ.** — შადრევანი. №8.

**ტოპელიუსი ზ.** — ჰვავის სამი თავთავი. № 8.

**კუკავა ი.** — იყო ერთი ბიჭი. №9.

**კრაუზე ჰ.** — თეთრი ლობიოს კონსერვი. №9.

**განდი კ.** — დაუვიწყარი ხილვა. №9.

**ჩაჩუა მ.** — დიდი და კეთილი მზე. №9.

**პროხინი ვ.** — ძია სტრუგურეს ბრიგადა. №9.

**კარდლა ბ.** — ერთი ჩვეულებრივი გოგონა. № 10.

**გეწაძე ა.** — ღრუბლების მომშინაურებელი. № 11, 12.

**ლუიკი ჰ.** — იპსილონი. № 11.

**ნოზაძე ბ.** — როგორ გადარჩა ბუ. № 12.

## პიონერული ცხოვრება

მიშველაძე ბ. — ყველა გზა ხუთიანებისაკენ მიდის. № 1.
აფხაზავა ნ. — პიონერული ყელსახვევიდან კომკავშირულ ბილეთამდე. № 2; ეზოს კლუბი — ბავშვების მეგობარი. № 7; გულის კარნახით. № 9.
მგელაძე ნ. — კომკავშირული მატიანის ფურცლები. № 3.
ავალიანი ნ. — პატაკს აბარებენ ლაგოდეხელი პიონერები. № 3.
ჩვენი უფროსი მეგობრები — ყრილობის დელეგატები. № 4.
ცაგარელი თ. — ასურეთელი პიონერები სანაქებოდ ირჯებიან. № 4; ჩვენ ხემიონელები ვართ. № 7; პიონერული ზაფხული — ჟამი შრომის და დასვენებისა. № 8; ნოჯიხეველი შრომისმოყვარენი. № 11.
ბრეჟნევი ლ. — ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას. № 6.
ნ. ფავლენიშვილი — მიეცი ნიჭსა გზა ფართო... № 7.
ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის პროგრამა. № 10.
გელაშვილი მ. — ჩვენ კომკავშირელები ვართ. № 12.

## მილოცვები, წერილები, მოგონებები. სპორტი, სხვადასხვა მასალები

პაპა ნიკო გვილოცავს ახალ წელს.
გრიგოლაშვილი დ. — სულადი. №1.
ცერცვაძე ვ. — როცა სამშობლოს უჭირდა. №1.
გეგეჭკორი არნ. (რუბრიკით „ბუნების კარი") — ცხოველთა მეგობრობა. №1; ცხოველთა მეგობრობა მცენარეებთან და ცხოველებთან. №7; ცოცხალი არქიტექტურის სამყაროში. № 9,10.
თომაძე მ. — მიწის გულიდან მოჩუხჩუხებს. №1.
ზურაბაშვილი ლ. — ქსოვა. №1, 3.
კარბელაშვილი ა. — გზა კავკასიონზე. №2.
სოსელია თ. — ნიჭიც, ცოდნისმოყვარეობაც. №2.
„გილოცავთ თოვლის პაპა" (მუსიკალური ნოტი). №1.
ონობრიენი ბ. — სპილოები თითქმის ადამიანებივით არიან. №3;
ყოლბაია ჯ. — ნამდვილი პიონერი. №3.
ბუმერანგი. №3.
კიკნაძე ლ. — მაშინ მეც თქვენოდენა ვიყავი. №3.
იგითიანი ჯ. — მსოფლიოში პირველი. №4.
აბაზიანი ლ. — ყველაზე კარგი ადამიანი, ვისაც ვიცნობ. № 4
ვოსკანიანი მ., თაქორიანი მ. — სამოცდაშვიდი წლის პიონერხელმძღვანელი. №4.
ფაილოძე ნ. — დევიზს კვლავ უპასუხებს: „მზად ვარ!" №5.
გამსახურდია რ. — წიგნად შეკრული სხივები. № 5.
„პიონერული მარში" (მუსიკალური ნოტი). №5.
ვიქტორინა „მეგობრობა გზად დახიდად". №6, 10.
სიდამონიძე ვ. — დარეჯან შილდელი. № 6.
ჩვენი სტუმარია გაზეთი „აზერბაიჯანის პიონერი". №6.
ჩვენი სტუმარია ლატვიის სსრ საბავშვო ჟურნალი „დრაუგსი" №7.
საბაშვილი შ. (რუბრიკით „დედამიწა და სამყარო") — ყოფილან ოდესმე დედამიწაზე კოსმოსის წარმომადგენლები? საიდან გაიგეს დოგონელებმა ვარსკვლავ სირიუსის ორმაგობა? № 7. ზონდი მენახირის ვარსკვლავიდან? №9.
ჩხარტიშვილი ა. (რუბრიკით „იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?") — დიდების მემორიალი გამარჯვების პარკში. № 3; იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია. № 7; დავითგარეჯა. № 12.
ჩვენი სტუმარია უკრაინის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერია". № 8.
ჩვენი სტუმარია მოლდავეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „სკინტეა ლენინისტე". № 9.
გელაშვილი მ. — მთების სიყვარულით ხმობილნი. № 9; თუშეთი დღეის და ხვალის. № 11.
აბაშელი რ. — წაგებული არავინ დარჩენილა. № 10.
ჩვენი სტუმარია ესტონეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი". № 10.
ჩვენი სტუმარია ბელორუსიის სსრ საბავშვო ჟურნალი „ბიაროზკა". № 11, 12.
ჩვენი სტუმარია ლიტვის სსრ საბავშვო ჟურნალი „ჟვაიგჟდუტე". № 12
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს. № 11.
საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. № 11.
იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. № 11.
დედათბილისის დიდი ზეიმი. № 12.
სირაძე ვ. — თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური. № 12.
ზაჰესი — სოციალისტური მეგობრობის პირმშო. № 12.

## განყოფილებები

ჟისი — № 1-12.
კოცონი — № 1,2,3,4,6,11,12.
შენი უცხოელი თანატოლები — № 1, 6.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე — № 3, 12.
მხედრიონი — № 2,5,8,11.
საინტერესო თემაზე — № 1.
ჯადოსნური სარკე — № 1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12.
გამოცანები — № 1,2,5,7,8,9,10,11,12.
ცხრაკლიტული — № 1-12.
ფოკუსის მიღმა — № 1, 6, 8, 10, 12.
თამაშობები — № 1.
საინტერესო სიახლენი — № 10, 11, 12.
ახალი წიგნები — № 12.
უცხოური იუმორი — № 3, 4, 7.





მცირე დამწვრობის დროს კანი იოლად მოშუშდება, თუ დაზიანებულ ადგილს კბილის პასტას წაუსვამ.



წვიმიან ამინდში შარვალი ტალახით აღარ მოგეთხუპნება, თუ ფეხსაცმლის ქუსლს ასეთ ნაჭდევს გაუკეთებ (ნაჭდევის სიღრმე და სიგანე 4 მმ უნდა იყოს).



თხილამურს ძალზე ფაქიზი შენახვა სჭირდება, თორემ იოლად კარგავს ფორმას. ხოლო გინდაც ოდნავ დეფორმირებული თხილამურები სასრიალოდ ფაქტიურად გამოუსადეგარია. გთავაზობთ თხილამურების შენახვის ერთ-ერთ სულ უბრალო ხერხს — კედელზე მისაკრავი სადგარის ნახაზს.



თუ გინდა ავეჯის ფეხებს დამცველი პლასტმასის ნაჭერი გამოაკრა, პლასტმასასა და ხეს შორის თავგადაჭრილი შურუპი დაუტნიე და პლასტმასა იოლად დამაგრდება.



ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ჯაგრისი თუ გაცვდა, ნუ გადააგდებ, კიბის ბაქანზე მიაჭედე და შინ შესვლამდე ფეხსაცმელების კიდეები გაიწმინდე.



უსწორმასწორო, გაფარჩხული ხის ტოტისაგან შეგიძლია ტანსაცმლის საკიდი გააკეთო.



## სარჩევი


დედათბილისის დიდი ზეიმი . გარეკ. 2
სირაძე ვ. თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური (წერილი) . . . . . . . 2
მეგობრობის სიმღერები . . . 7
გელაშვილი მ. ჩვენ კომკავშირელები ვართ! (ნარკვევი) . . . . . . . 6
გეწაძე ა. ღრუბლების მომშინაურებელი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . 8
გოგოლაძე გ. ზაჰესი სოციალისტური მეგობრობის პირმშო (წერილი) . . . 15
ჩვენი სტუმარია ლიტვის სსრ საბავშვო ჟურნალი „ჟვაიგჟდუტე“ . . . . . . . 16
რაჩისკას ვ. საოცარი ჩანთა (მოთხრობა) . . 18
ახალი წიგნები . . . . 20
ნოზაძე ბ. როგორ გადარჩა ბუ (მოთხრობა) . 21
აისი . . . . . . . . 26
საინტერესო სიახლენი . . . . 27
კოცონი . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . 28.
ჟურნალ „პიონერში“ 1982 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი . . . . . . 30
გამოგადგება . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3.


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თენგიზ სამხონაძისა.


მთავარი რედაქტორი ბ. [illegible]ულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ელიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამშრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 22. 10. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 12. 82 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2541. ტირ. 150 350. უგ 13902.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60\times90^{1}/_{8}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 150 350 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1982 წ.



## კროსვორდი

თარაზულად: 1. ხმელთაშუა ზღვის კუნძული; 8. ამერიკის ქალაქი; 9. მზესთან უველაზე ახლოს მყოფი პლანეტა; 10. ციტრუსოვანი ხე; 11. ბალეტ „დონ კიხოტის“ ავტორი; 13. ლექს „სამშობლო ხევსურისა“ ავტორი; 17. მტაცებელი ფრინველი; 18. საბჭოთა პოლარული მკვლევარი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი; 21. შინაური ფრინველი; 22. მოწინააღმდეგის თვითმფრინავის, ხომალდის ან ტანკისათვის დარტყმა მანქანის კორპუსით; 23. ინგლისელი მწერალი, „ოლივერ ტვისტის“ ავტორი; 24. პატარა გემი; 25. დესპოტიზმი.

შვეულად: 2. შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 3. იაპონიის არქიპელაგის კუნძული; 4. დაკიდებულ დახაჯდომიანი, ვერტიკალურ ღერძზე მბრუნავი მოწყობილობა; 5. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული; 6. ქალაქი აქტიუბინსკის ოლქში; 7. საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამცველი ორგანო; 12. აზიის სახელმწიფო; 14. მდინარე მისისიპის მარცხენა შენაკადი; 15. წმინდა, უმწიკვლო; 16. რაიმე გარკვეული მუშაობის შემსრულებელი ხელსაწყო; 17. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 19. ჩაიკოვსკის ოპერა; 20. ინგლისელი მწერალი ქალი, დეტექტიური რომანების ავტორი.



ბ. ქურდოვანიძე.
თბილისის 55-ე საშუალო სკოლა

## პასუხი № 11-ში მოთავსებულ „სხრაკლიგულზე“

### კროსვორდი

თარაზულად: 1. გამბუზია; 4. ნალბანდი; 8. მარადონა; 8. ბრაზილია; 10. ირისი; 12. აბრაგი; 14. ბიზონი; 17. ვაშლი; 18. ბრეთი; 20 ტაბ...; 21. ლიკანი; 23. ინდონეზია; 26. „მერანი“; 27. ირტიში; 28. დარახელია; 30. პიესა; 31. ქსანი, 34. ბელგია; 35. ნილოსი; 38. ტაილანდი; 40. ავლაბარი; 42. მარაკანა; 43. ბასტილია 44. „ისკრა“.

შვეულად: 2. არფა; 3. ალთაი; 4 ნაიბი; 5. დიდი; 7. რეგბი; 9. ლიონი; 11. ნისტაგმი; 13. გუშაგი; 15 იბერია; 16. ასფიქსია; 17. ვარდი; 19. ილეთი; 22. ანკესი; 24. ნუგა; 25. იორი; 28. დალესი; 29. აფთარი; 32. ბერნი; 33. ასთმა; 36. მირიანი; 37. მარაბდა; 39. ალვა; 41. რური.

### როგორ მოვახერხოთ?

წყალი მეორე ჭიქიდან გადავასხათ მეხუთე ჭიქაში.

### პირველი და მეორე

პირველი შეკითხვა მისცეს მეორეს, შემდეგ — პირველს. საუბარი შედგა სამშაბათს.

### ამოცანა

ცხენოსანს საათში უნდა ევლო 15 კმ სიჩქარით და მე-6 კილომეტრზე დაეწეოდა ქვეითად მავალს.




## ფოკუსის მიღმა

სცენაზე, ერთმანეთისაგან დაშორებით, ორი მაგიდა დგას. ერთზე ხის კუბიკი და მისი ბუდე დევს, მეორეზე ქუდი — ცილინდრი. მეფოკუსე მაყურებლებს ეკითხება: ახლა კუბიკი ცილინდრში გადაფრინდება და როგორ გსურთ ეს მოხდეს — თვალსაჩინოდ თუ უჩინრადო? მაყურებლები იტყვიან: თვალსაჩინოდო. მეფოკუსე კუბიკს ხელში იღებს და ცილინდრში დებს. მაშინ მაყურებლები დაიძახებენ: უჩინრადო. მეფოკუსე კუბიკს ძველ ადგილას აბრუნებს, ბუდეს დაახურავს, რამდენიმე მაგიურ პასს აკეთებს, შემდეგ ბუდეს მაღლა სწევს, მაყურებლებს აჩვენებს, რომ იგი ცარიელია, მიდის ცილინდრთან და იქიდან კუბიკს იღებს.

საქმე ის არის, რომ ფოკუსში ორი კუბიკი მონაწილეობს. ერთი 10X10X10 სმ ზომისაა, მეორე უფ[ს]კეროა და ოდნავ დიდი, რათა პირველ კუბიკს კარგად დაეხუროს.

როცა მეფოკუსე კუბიკს პირველად მიიტანს ცილინდრთან, ცილინდრში შეუმჩნევლად აგდებს შიგნითა კუბიკს. მერე უფსკერო კუბიკს ბუდეს დაახურავს და დარბაზს აჩვენებს, რომ ბუდე ცარიელია. შიგნითა კუბიკიცა და ბუდე[ც] შავად არიან შეღებილი.

ემილ კი[ო]

ნახატი ა. ზახაროვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი
ფასი 20

ექსპონატები აღებულია ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილი გამოფენიდან.



ლაშქრობა ციხეზე.
ნიკო ჩოჩელი, 13 წლის.



ბუნების წიაღში.
ირმა ხოფერია,
10 წლის.



ფრანები.
ირაკლი კოზახიძე
8 წლის.



თამბაქოს საშრობ ფარდულში.
მარინე ნანდოშვილი,
13 წლის.



ალპინისტები.
ა. თოთიბაძე. 6 წლის.